ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 2015 | №277 (6897) | ფასი: 50 თეთრი

## მთავარი მატჩები მანჩესტერსა და მოსკოვშია



გვ.9

| | | | |
|---|---|---|---|
| მალმიო-პსჟ | 12.0 | 5.5 | 1.25 |
| შახტარი-რეალი | 4.0 | 3.4 | 1.91 |
| ცსკა-ვოლფსბურგი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| მანჩესტერი-პსვ | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| ასტანა-ბენფიკა | 4.5 | 3.4 | 1.83 |
| ატლეტიკო-გალათასარაი | 1.28 | 5.0 | 11.0 |
| გლადბახი-სევილია | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| იუვენტუსი-სიტი | 2.25 | 3.2 | 3.3 |

# თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო



რუსულ ვერტმფრენს სირიაში ცეცხლი გაუხსნეს

გვ.8



ნატომ საგანგებო სხდომა მოიწვია

პუტინი: „ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება“

## მურმან დუმბაძე: „გობაძე ჩემი მეზობელია“






ისლამური სახელმწიფოს წევრი დეპუტატებსაც ემუქრება

გვ.3

## რა აკავშირებს ტარიელ ნაკაიძეს ისლამისტ ჟაღალიძესთან

გვ.2




სკანდალური ფოტო ფეისბუქზე

## ირაკლი სესიაშვილი: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება სწორი არ იქნება“

გვ.2





„ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივა პოპულიზმს ემსახურება“

ISSN 1987-9385

## გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთის ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკოსები საქართველოს ჟაობში მიათრევენ“

გვ.4



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რა აკავშირებს ტარიელ ნაკაიძეს ისლამისტ ჭაღალიძესთან

## სკანდალური ფოტო ფეისბუქზე

შორენა მარსაგიშვილი

**ისლამური სახელმწიფოს მხარეს მებრძოლი თამაზ ჭაღალიძე კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჯერად მას მუქარის შემცველი ვიდეო აღარ გაუვრცელებია. სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ის ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარესთან ერთად არის ასახული.**



ალნიშნული ფოტო სტუდენტმა ირაკლი კუპრაძემ გაავრცელა. ფოტო ერთ-ერთ აქციაზეა გადაღებული.

ირაკლი კუპრაძის განმარტებით, ფოტო სოფელ ჭელაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ბათუმში მინარეთის დასაცავად გამართულ აქციაზეა გადაღებული.

რელიგიურ ნიადაგზე ჭელაში დაპირისპირებას ადგილი 2013 წლის ზაფხულში ჰქონდა.

ჭელაში, სადაც აჭარიდან გადმოსახლებული მუსლიმები და რაჭიდან ჩამოსახლებული მართლმადიდებლები წლებია, უკონფლიქტოდ ცხოვრობენ, სოფელში არსებულ მეჩეთს 24 მეტრიანი მინარეთი ივლისში მიუშენეს.

ამ ფაქტმა მაშინვე გამოიწვია ადგილობრივი ქრისტიანების უკმაყოფილება. ადგილობრივი მუსლიმები ამბობდნენ, რომ მინარეთის მოშლის მოთხოვნით მართლმადიდებელი თანასოფლელები ხელმოწერებს აგროვებდნენ.

მინარეთის აშენებიდან ერთ თვეში, 26 აგვისტოს, მისი დემონტაჟი განხორციელდა. ადიგენის საკრებულომ დემონტაჟის გადაწყვეტილება მინარეთის აშენების ნებართვის არქონით ახსნა და ადგილობრივი მუსლიმები 200 ლარითაც დააჯარიმა.

ამის შემდეგ მუსლიმთა აქციები და ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციები დაიწყო. ბოლოს მინარეთი თავის ადგილზე დააბრუნეს.

მინარეთის თავის ადგილზე დაბრუნების მოთხოვნით აქცია ბათუმშიც გაიმართა, სადაც ტარიელ ნაკაიძე და ისლამისტი ჭაღალიძე ერთ მხარეს აღმოჩნდნენ.

ირაკლი კუპრაძის განცხადებით, მან ტარიელ ნაკაიძეს აღნიშნულ ფოტოსთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში კითხვები დაუსვა, თუმცა ნაკაიძემ ის დაბლოკა.

– ყოველგვარი სიფრთხილის და უსაფრთხოების გათვალისწინების გარეშე უნდა ვთქვა: ვერა და ვერ ვხვდები, რატომ ხდება ნაკაიძის წინ წამოწევა როგორც პროგრესული მუსლიმისა, რომელიც დაცლილია რადიკალიზმისგან.

მე მისი გულწრფელობის არ მჯერა. ტარიელ ნაკაიძე დღეს ღიად აცხადებს, რომ პირადად იცნობს მუქარის ჩანაწერის ავტორებს, ხალიფატის მებრძოლებს, თავის დროზე ახლოს იცნობდა თამაზ ჭაღალიძეს, – აღნიშნავს კუპრაძე.

მისივე თქმით, მან ტარიელ ნაკაიძეს ჰკითხა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ჭაღალიძის მუქარასთან.

– ვკითხე, ემიჯნებოდა თუ არა ჭაღალიძის მუქარის შემცველ პოზიციას, ეს ფოტოც დავულინკე, სადაც ჭაღალიძესთან ერთად არის (ყვითელშავზოლიან მაისურში) და, როგორც ფოტოდან ჩანს, შემთხვევითობას ნამდვილად არ აქვს ადგილი. მცირე შეკამათების შემდეგ, როცა არგუმენტები გამოელია, დამბლოკა, – განაცხადა კუპრაძემ.

ტარიელ ნაკაიძე ამ ფოტოს აუთენტურობას ადასტურებს.

მისი განმარტებით, სანამ ჭაღალიძე სირიაში წავიდოდა, ის მას რამდენჯერმე შეხვდა და გაესაუბრა.

– რა თქმა უნდა, ვიცნობ, ყველასთან მქონია ურთიერთობა, ვინც ბათუმში ცხოვრობს. ყველას ვიცნობ, ვინც მეჩეთში დადის, რადგან ამ საქმეს ვხელმძღვანელობ, – განუცხადა რეგნიუსს ნაკაიძემ.

მისი თქმით, ჭაღალიძე იმ აქციაზე იყო, როდესაც ჭელაში მინარეთის მოჭრის ფაქტი მოხდა.

– თამაზ ჭაღალიძის მუქარებს ვემიჯნები კი არა, ვებრძვი კიდეც. სანამ სირიაში წავიდოდა, ჭაღალიძეს ასეთი შეხედულებები არ ჰქონია. ის, რა პოზიციებიც მან სირიიდან გამოგზავნა, ჩვენთვის ცნობილი არ იყო. როდესაც საქართველოში იყო და მეჩეთში დადიოდა, გავსაუბრებივარ მას, მაგრამ მაშინ ასეთი შეხედულებები არ ჰქონია, – განაცხადა ტარიელ ნაკაიძემ.

მოგვიანებით ნაკაიძემ ეს ფოტო ფეისბუქის საკუთარ გვერდზეც გამოაქვეყნა და კომენტარად შემდეგი რამ მიაწერა:

– მე კი მერჩით (თუმცა არც ვნაღვლობ), მაგრამ თამაზ ბაკურიძისგან რაღა გინდათ, ამოშალეთ ამ სურათიდან ეს კაცი.

ამ ფოტოზე ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანიც არის ასახული.

რაც შეეხება თამაზ ჭაღალიძეს, ის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პოლიტიკურ პროცესებში იყო ჩართული.

როგორც ლეიბორისტული პარტიის წევრმა გიორგი ჩიტაურმა „ახალ თაობას" განუცხადა, ჭაღალიძე 2009 წლის ოპოზიციის აქციებში აქტიურად მონაწილეობდა.

– ჩვენ საკნების აქციაში ერთად ვიყავით. ის ბიჭი კონსტანტინე გამსახურდიას პარტიის წევრი იყო და მის განცხადებებში რადიკალიზმი არ შემინიშნავს, – ამბობს ჩიტაური.

## ივანიშვილის სკანდალური პარტნიორი არკადი გაიდამაკი ფრანგ სამართალდამცავებს ჩაბარდა



ანგოლაგეიტის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი არკადი გაიდამაკი, რომელიც საფრანგეთის სასამართლოს დაუსწრებლად ჰყავდა გასამართლებული, გუშინ, 24 ნოემბერს, პოლიციას ჩაბარდა.

ფრანგი-ებრაელი ბიზნესმენის დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია მისმა ადვოკატმა პატრიკ კლუგმანმა გაავრცელა.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თავისი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდა და გადაწყვიტა, საფრანგეთის სასამართლოსთან ურთიერთობები დაარეგულიროს, – განაცხადა ადვოკატმა.

2000 წელს საფრანგეთში ბიზნესმენ არკადი გაიდამაკის მიმართ ანგოლაში იარაღის უკანონო შეტანის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

გამოძიების ვერსიით, ანგოლაში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ანგოლის რეჟიმის მეთაური ჟოზე ედუარდო დუშ სანტუში საფრანგეთში იარაღის დიდი პარტიის შესყიდვას აპირებდა, თუმცა უარი მიიღო. ამის შემდეგ ანგოლის ხელისუფლება ფრანგ ბიზნესმენ პიერ ფალკონს დაუკავშირდა, რომელმაც გაიდამაკთან ერთად ორგანიზება გაუკეთა ანგოლაში აღმოსავლეთ ევროპიდან იარაღის უკანონო შეტანას.

შეიარაღების ღირებულება 790 მილიონ დოლარს აღემატებოდა და მასში შედიოდა 150 ათასი ჭურვი, 12 ვერტმფრენი და 6 სამხედრო ხომალდი.

2009 წლის ოქტომბერში პარიზის სასამართლომ არკადი გაიდამაკს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბიზნესმენი არც ერთ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა.

ანგოლაგეიტის სკანდალზე მომუშავე ჟურნალისტი ვლადიმერ ივანიძე, რომელმაც ამ თემაზე არაერთი ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა, მიიჩნევს, რომ არკადი გაიდამაკთან ერთად, შესაძლოა, ანგოლაგეიტის სკანდალში გარეული იყოს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც „როსიისკი კრედიტის" დამფუძნებელი და გაიდამაკის ბიზნეს-პარტნიორი იყო.

**ნიუპოსტი**

## პატრიოტთა ალიანსმა შიმშილობა შეწყვიტა



– პატრიოტთა ალიანსმა შიმშილობის აქცია შეწყვიტა. ამის შესახებ პატრიოტთა ალიანსის ლიდერის ირმა ინაშვილისა და პარლამენტის პირველი ვიცესპიკერის მანანა კობახიძის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.

როგორც კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ პატრიოტთა ალიანსი შიმშილობას შეწყვეტს.

შიმშილობის შეწყვეტის შესახებ ჟურნალისტებს ირმა ინაშვილმაც დაუდასტურა, რომელიც პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების საკუთარ ვარიანტს სთავაზობს.

ინაშვილის თქმით, თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, პატრიოტთა ალიანსი შიმშილობას და საპროტესტო აქციებს გაზაფხულიდან განაახლებს.

## გუბაზ სანიკიძე: „საფრთხეებია მოსალოდნელი"



საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გუბაზ სანიკიძე ისლამური სახელმწიფოს სახელით საქართველოსადმი გავრცელებულ ვიდეომიმართვას პროვოცირების მცდელობად აფასებს.

როგორც სანიკიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, ვიდეომიმართვაში გაკეთებული განცხადებები არის იაფფასიანი და ზედაპირული, რომელიც გამიზნულია პანიკის დასათესად.

მისივე თქმით, სახელმწიფო და საზოგადოება უნდა იყოს ფხიზლად და მშვიდად.

**გუბაზ სანიკიძე:**

– ტერორიზმის საფრთხის კუთხით, საქართველო გამონაკლისი არ არის. როგორც ჩანს, ჩვენ ტერორისტების პრიორიტეტებში არ ვართ, თუმცა არავინ იცის, მათ რა გეგმები აქვთ.

ჩვენ ორი რამ მოგვეთხოვება – პირველ რიგში, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პანიკა და მეორე, აუცილებელია სიფხიზლე. ჩემი მონაცემებით, სახელმწიფო სისტემა – შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეცსამსახურები საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ეფექტურად მუშაობენ და ფხიზლად არიან.

საფრთხეები მოსალოდნელია, ყოველთვის უარესზე უნდა გავთვალოთ, რომ უკეთესი გამოგვივიდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## თემქაზე, საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან, მამაკაცი გადავარდა




თემქაზე, ხორნაბუჯის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან, მამაკაცი გადავარდა და გარდაიცვალა. შემთხვევას ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, საქმეზე დაწყებულია გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე: „გობაძე ჩემი მეზობელია“

## ისლამური სახელმწიფოს წევრი დეპუტატებსაც ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ უნდა მიიღონ ბავშვებმა რელიგიური განათლება უცხოეთში, რა შეცდომას უშვებს საქართველოს ხელისუფლება, ვინ ემუქრება ისლამური სახელმწიფოს სახელით დეპუტატებს, ვის მეზობლად ცხოვრობს სკანდალური გობაძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას" პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.**




**მურმან დუმბაძე:**

– ვიღაცები აგდებულად შეხვდნენ ისლამური სახელმწიფოს სახელით გავრცელებულ მუქარას, სახუმაროდ ნამდვილად არ არის საქმე. ევროკავშირის დედაქალაქი, ბრიუსელი, რამდენიმე დღეა, რაც პარალიზებულია ამ ტერორისტების გამო. იქ რომ ასეთი რამ ხდება, წარმოგიდგენიათ, აქ რა ამბები დატრიალდება?

23 ნოემბერს ხალიფატის სახელით გავრცელებული ვიდეომიმართვიდან გამომდინარე, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე უნდა გადავიდნენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავერიოთ სხვის რელიგიაში, ცივილიზაციასა და კულტურაში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაფორმდეს სახელმწიფო დონეზე საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებით ხელშეკრულებები. ხელისუფლებას რელიგიაში არაფერი ესაქმება. მათ ურჩევნიათ, ვინმეზე საეჭვო ინფორმაციები თუ აქვთ მიღებული, ამას მიაქციონ ყურადღება. ჩვენი ქვეყანა სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას.

***– წინა ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე შუღლი არ მოხდებაო. ამ ვიდეო მიმართვის შემდეგაც ასე ფიქრობთ?***

– ამაზე აზრს არ შევიცვლი. ამ მუქარას ისლამთან კავშირი არ აქვს. ექსტრემისტული დაჯგუფებები ყურანს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იყენებენ. საქართველოს მოქალაქეები ბოლო დღეებში ხშირად ახსენებენ უარყოფით კონტექსტში მუსლიმებს. მინდა ყველამ გაითავისოს, რომ მუსლიმებს ექსტრემიზმთან და ვაჰაბიზმთან საერთო არაფერი აქვთ.

აჭარა 300 წლის მანძილზე იყო თურქეთის შემადგენლობაში. ამ კუთხეში ვარ გაზრდილი და სხვაზე უკეთ ვიცი, რა ხდება იქ. ამიტომ ვერ მივიღებ ზოგიერთი დეპუტატის შეფასებებს, რომელიც აჭარაში მხოლოდ ზაფხულობით, ისიც პლაჟზე წამოსაწოლად ჩამოდის.

***– რა შეფასებებზე საუბრობთ, რელიგიურ შუღლს აღვივებენ თუ რა ხდება?***

– ზოგიერთი დეპუტატი იმასაც გაიძახის, აჭარაში კიდევ ერთი მეჩეთი უნდა ავაშენოთო. ჩვენ მაგათზე უკეთ ვიცით, რა უნდა ავაშენოთ და რა არა. ეს საკითხი დეპუტატების გადასაწყვეტი არაა, ეს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს.

***– მეჩეთებთან დაკავშირებით აჭარაში პრობლემებია?***

– არანაირი პრობლემა არ არის. 200-მდე მეჩეთია დღეს აჭარის რეგიონში. არავინ მათი წინააღმდეგი არ არის, მაგრამ როგორც კი აქ პოლიტიკური მეჩეთი აშენდება, იქ ეგრევე გაჩნდება ვაჰაბიზმის ბუდე. პოლიტიკური მეჩეთი სპეცსამსახურების სამუშაო ადგილი იქნება და მეტი არაფერი.

აჭარაში მუსლიმსა და ქრისტიანს შორის, ასევე მუსლიმსა და ათეისტს შორის არასდროს შექმნილა კონფლიქტური ვითარება. სახელმწიფოს ვთხოვ, ამ საქმეებში ნუ ჩაერევა. ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ იმ ხელშეკრულებაზე ლაპარაკსაც დაანებებენ თავს.

***– რომელ ხელშეკრულებაზე საუბრობთ?***

– რომლის გამოც ჯერ წინა ხელისუფლებას დავუპირისპირდი, ახლა კი – „ქართულ ოცნებას“. აზიზიეს მეჩეთის აშენებაზე თურქეთთან გაფორმებული ხელშეკრულება ჩემთვის მიუღებელია. ამის გამო ბიძინა ივანიშვილთან დიდი უთანხმოება მომივიდა და ეს გახდა „ოცნებიდან“ წამოსვლის მთავარი მიზეზი.

ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ასეთ საქმეებში ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს, ეს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს.

***– მოსახლეობა რას ფიქრობს ამაზე?***

– პოლიტიკური ნიშნით მეჩეთის აშენებას ყველა ეწინააღმდეგება.

***– მუსლიმებიც?***

– მუსლიმებიც. მათ ძალიან კარგად იციან, რაც მოჰყვება პოლიტიკურ მეჩეთს.

***– ზემოთ ვაჰაბიზმი ახსენეთ და აჭარაშიც არიან ისინი?***

– ბუნებრივია, არიან და თუ პოლიტიკური მეჩეთი აშენდა, კიდევ უფრო გამრავლდებიან.

***– პანკისის ხეობიდან სირიაში საბრძოლველად ახალგაზრდები, როგორც ამბობენ, ვაჰაბიტებს მიჰყავთ, აჭარის რეგიონშიც ასეა? თუ არის ცნობილი, რამდენი ახალგაზრდაა წასული ამ რეგიონიდან სირიაში?***

– მათ შესახებ ზუსტი ინფორმაცია ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს, სათანადო სამსახურებს ასეთი რამეების გარკვევისთვის ვუხდით ფულს და არა იმისთვის, რომ ჩემი და ჩემი მეუღლის სატელეფონო საუბრებს უსმინონ.

სამწუხაროდ, ჩვენი სპეცსამსახურები სათანადოდ არ მუშაობენ, ვაჰაბიტებიც კარგად გრძნობენ თავს და გზააბნეულ ახალგაზრდებს დასდევენ. ისეთ ახალგაზრდებს, 2 დღის წინ მიმართვა რომ გაავრცელეს, ერთ-ერთი მათგანი ჩემი მეზობელია.

***– რომელია თქვენი მეზობელი?***

– განცხადებას რომ კითხულობდა, გობაძე. ის, ჩემი არ იყოს, სოფელ ახალშენში ცხოვრობს.

***– თქვენ იცნობთ ამ ბიჭს?***

– პირადად ამ ბავშვს არ ვიცნობ, მაგრამ მათი ოჯახი ვიცი. მათი სახლიდან 100 მეტრში არის საკმაოდ დიდი მეჩეთი. იქ პარასკევის ლოცვაზე რამდენიმე კაცი იყრის თავს. აქ მუსლიმებს არასდროს ჰქონიათ პრობლემები. არც ამ ბიჭის ოჯახი შეუვიწროებია ვინმეს. ბებია და ბაბუა მყავდნენ მუსლიმები, ჩემი ბევრი ნათესავიც მუსლიმია და კარგად ვიცი, რა განწყობაა მათ მიმართ ან რა განწყობა მოდის მათგან. ამ მხრივ აჭარა უნიკალური რეგიონია და სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები ერთმანეთს ძალიან ვუფრთხილდებით.

***– როგორ მოხვდა თქვენი მეზობელი ხალიფატში?***

– როგორ ხვდებიან იქ ახალგაზრდები, ეს სათანადო სამსახურებმა უნდა დაადგინონ. ამაში ვუხდით მათ ხელფასს. იმედი მაქვს, რომ ამ ვიდეოს შემდეგ უფრო მეტ დაინტერესებას გამოიჩენს ხელისუფლება რელიგიური განათლების მიმართ.

***– რა რელიგიურ განათლებაზე საუბრობთ, ბატონო მურმან?***

– მთელი ამ წლების მანძილზე ვაპროტესტებდი იმას, რომ აჭარის რეგიონიდან ბავშვები რელიგიური განათლების მისაღებად თურქეთში მიჰყავდათ. იქ ათასობით ბავშვი წავიდა, სწორედ მათგან ამოარჩიეს ის ბავშვები, რომლებიც 2 დღის წინ გავრცელებულ ვიდეოში ვიხილეთ.

***– რა სასწავლებლებში მიდიან ეს ბავშვები?***

– ზუსტად არ ვიცი, რა ჰქვია ამ სასწავლებლებს, მაგრამ დაახლოებით ვხვდები, როგორ ზრდიან იქ ბავშვებს. მათ ცნობიერება აქვთ შეცვლილი.

***– რას ნიშნავს ცნობიერება აქვთ შეცვლილი?***

– ერთხელ ერთმანეთს საქართველოს და თურქეთის ნაკრებები ეთამაშებოდნენ. ერთ-ერთ ბავშვს, რომელიც იქაურ სასწავლებელში სწავლობდა, ვკითხე, ვის გულშემატკივრობთქო და მითხრა, თურქეთსო. ეს ბავშვი საქართველოსთვის უკვე დაკარგულია.

ჩვენმა განათლების სამინისტრომ არ უნდა ცნოს ის დიპლომები და სერტიფიკატები, რომლებსაც უცხო ქვეყნების რელიგიური სასწავლებლები იძლევიან.

***– მშობლებმა არ იციან, რა ტიპის სასწავლებლებში მიდიან მათი შვილები?***

– მშობლები ამ სასწავლებლებში ბავშვებს მხოლოდ იმიტომ აგზავნიან, რომ სოციალურად შეჭირვებული არიან. იქ სწავლა უფასოა და ბავშვების კვებაც იმათ ხარჯზეა.

ისლამური სახელმწიფოს რიგებში ძირითადად ასეთ სასწავლებელში მიღებული განათლებით ხვდებიან. ამიტომ იქ წასვლა მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ.

***– ისლამურ სახელმწიფოში ისეთებიც მიდიან, ვისაც საერთოდ არ აქვს წარმოდგენა ისლამზე.***

– ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენმა ბავშვებმა სხვა ქვეყნებში არ მიიღონ რელიგიური განათლება.

***– თუ მაინც უნდათ ახალგაზრდებს რელიგიური განათლების მიღება, მაშინ რა უნდა ვქნათ? სწავლას ხომ ვერ ავუკრძალავთ?***

– სწავლა არავის უნდა ავუკრძალოთ. რელიგიური განათლების მიღება საქართველოშიც შეიძლება.

***– არის იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვებს საქართველოშიც ასწავლონ ყურანი?***

– საქართველოში მუსლიმები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ. მათ შესანიშნავად იციან ყურანი. რადგან ასეთ სწავლებაზეა მოთხოვნილება, აქ უნდა გაიხსნას რელიგიური სასწავლებელი. ეს ჩვენმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ისე არ გამიგოთ, რომ თურქეთში განათლების მიღების წინააღმდეგი ვარ. ფიზიკას და ქიმიას, ანდა მედიცინას თუ ასწავლიან, ამას მხოლოდ მივესალმები, მაგრამ სხვაგან რელიგიური აღზრდა არ ვარგა.



როგორც კი ასეთ რამეს ვიტყვი, გამოვარდებიან არასამთავრობოები, ტოლერანტთა ჯგუფი და ყვირიან, ნახეთ, რეებს ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერიო. სასაცილოა, მუსლიმების პატივისცემას ეგენი რომ მასწავლიან.

არასამთავრობოებს „ქართული ოცნების“ ლიდერებიც აყვნენ და „ქართული ოცნებიდან“ გამრიცხეს. არადა, მე მხოლოდ პოლიტიკური მეჩეთის მშენებლობას ვაპროტესტებდი. სხვა მხრივ მეჩეთის წინააღმდეგ ხმა არასდროს ამომიღია. წლების წინ ბათუმში მეჩეთი რომ შენდებოდა, მის მშენებლობაშიც მივიღე მონაწილეობა.

ჭორების გავრცელებას ის ურჩევნიათ, სათანადო ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს, ისლამური სახელმწიფოს წევრი ემუქრება.

***– ვის ემუქრებიან, ბატონო მურმან?***

– მე მემუქრებიან. რამდენიმე ხნის წინ მუქარის შემცველი განცხადება გაავრცელა ისლამური სახელმწიფოს რიგებში მებრძოლმა ახალგაზრდამ, გვარად ჭალალიძემ. მის წერილში ჩემი გვარიც არის ნახსენები.

***– არ მიმართეთ სათანადო ორგანოებს?***

– მე უნდა მიმემართა? თავად უნდა დავებარებინე. არც ერთი სატელეფონო ზარი არ განხორციელებულა ჩემთან. სამაგიეროდ, ჩემს საუბარს უსმენენ.

***– უკვე მეორედ აღნიშნეთ, მისმენენო.***

– მარტო საუბრებს კი არ უსმენენ, მითვალთვალებენ კიდეც.

***– იქნებ ჭალალიძის მუქარის გამო გითვალთვალებენ?***

– მანამდე დაიწყო თვალთვალი და მოსმენა. ამ თვალთვალს არ ურჩევნიათ, რომ დამიბარონ და მკითხონ, რა ვიცი ჭალალიძეზე ან მასთან რაიმე პიროვნული დაპირისპირება ხომ არ მაქვს. ამას კაციშვილი არ მეკითხება.

***– ისინი რაკი არ გეკითხებიან, მე გკითხავთ – იცნობთ ჭალალიძეს?***

– საერთოდ არ ვიცნობ და მისი გვარ-სახელი ამ მიმართვამდე არც გამეგო. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება სათანადოდ არ მუშაობს, რაც ქვეყანას შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

# დიმიტრი ხუნდაძე: „ნაციონალები პენსიონერებს ბრმა იარაღად იყენებენ“



პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ხუნდაძის შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა პენსიონერებს ბრმა იარაღად იყენებს.

დიმიტრი ხუნდაძე პენსიის 50 ლარით გაზრდასთან დაკავშირებით ნაციონალების ინიციატივას განცხადებით ეხმაურება და მიიჩნევს, რომ აღნიშნული „წინასაარჩევნოდ ქულების დაწერის“ მიზანს ემსახურება.

**დიმიტრი ხუნდაძე:**

– ბოლო პერიოდში ნაციონალური მოძრაობის ქმედება პენსიონერთა მიმართ ყოველგვარ ზღვარს გასცდა.

ხანდაზმული პირები გამოიყვანო და პეტიციაზე ხელის მოსაწერად რიგში ჩააყენო მხოლოდ იმიტომ, რომ წინასაარჩევნოდ ქულები ჩაიწერო, არანაირ ზნეობრივ და მორალურ ჩარჩოში არ ზის.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ამომრჩეველთა ყველაზე დიდი პროცენტი პენსიონერებზე მოდის და სწორედ ამიტომ, ნაცმოძრაობის სამიზნეც ეს სეგმენტია. მესმის, მათ იმდენად უჭირთ, რომ ყველანაირ ხერხს იყენებენ, მაგრამ არსებობს დაუწერელი წესები, რასაც არ უნდა გადააბიჯო.

დეპუტატის თქმით, პენსიის 50 ლარით გაზრდა არა მარტო შეუძლებელი, დაუშვებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

– ყოველდღე, საინფორმაციო საშუალებებში ვუყურებთ კადრებს, სადაც ისედაც ყოფითი ცხოვრებით დაღლილი მოხუცები დგანან და იმედით აწერენ ხელს პენსიის 50 ლარით გაზრდის თაობაზე მოთხოვნას, რაც ნაცმოძრაობის თითოეულმა წევრმა იცის, რომ არა მარტო შეუძლებელი, არამედ, დაუშვებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

არაერთხელ განმიცხადებია, რომ საქართველოში ერის დაბერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც ძალიან გვახარებს.

საგრძნობლად არის შემცირებული მოკვდაობა სწორედ ხანდაზმულებში, რაც ჩვენი ხელისუფლების სწორი ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შედეგია. მიმდინარე ორი-სამი წლის მანძილზე გაიზარდა პენსიონერთა რაოდენობა, მათი რაოდენობა მომდევნო წლების მანძილზე კიდევ უფრო იზრდება.

ეს გამოწვეულია მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში შობადობის ყველაზე დიდი მაჩვენებლით. სწორედ ეს თაობა ხდება დღეს და მომდევნო 10-15 წლის მანძილზე საპენსიო ასაკის. შეუძლებელია ეს მონაცემები არ ჰქონდეთ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და არ იცოდნენ, რომ ამ ფონზე პენსიების 50-ლარიანი მატება დაუშვებელია ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

საჭიროა სწორი საპენსიო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმის გატარება, რაც ყოფილ ხელისუფლებას პირველივე დღეებიდანვე უნდა დაეწყო. სამწუხაროდ, საპენსიო რეფორმის დაწყება ჩვენს პერიოდშიც ჭიანურდება. პენსიონერთა რაოდენობის ასეთმა ზრდამ, რაც ჩვენთვის პოზიტიური და სასიხარულოა, შესაძლოა ქვეყნის ბიუჯეტისთვის ნეგატიური გავლენა იქონიოს, თუ საპენსიო რეფორმა დროულად არ დავიწყეთ, – აღნიშნავს დეპუტატი.

დიმიტრი ხუნდაძე ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდებს, ნუ გამოიყენებენ პენსიონერებს ბრმა იარაღად საკუთარი საარჩევნო მიზნებისთვის.

– უმჯობესია, ყველამ ერთად დავიწყოთ ფიქრი, თუ როგორ შევიმუშაოთ საპენსიო პოლიტიკა ისე, რომ მივხედოთ ხანდაზმულებს და ამასთანავე, მოსალოდნელი საფრთხე ავარიდოთ ქვეყნის ბიუჯეტს, – განმარტავს დიმიტრი ხუნდაძე.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი გაჩეჩილაძე: „რუსეთის ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკოსები საქართველოს ჭაობში მიათრევენ“

გულიკო ბალაძე

**დეპუტატი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან" საუბარში ამბობს, რომ იმ დროს, როცა რუსეთის ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალია, რუსულ ორბიტაზე მოტრიალე ქართველები ცდილობენ, საქართველო რუსულ ჭაობში შეათრიონ.**

— დღეს მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, მაგრამ სხვაგვარი ფორმით. ამ ომში ჩართულია ყველა ის ქვეყანა, რომელიც ადრე ნებისმიერ მსოფლიო ომში იყო ჩაბმული — მთლიანად დასავლეთი, ნატო, რუსეთი, ჩინეთიც თავისებურად ჩართულია, რაღაც ფორმით ირანიც მონაწილეობს, — განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

***— ეს რაზე მიუთითებს?***

— ეს იმაზე მიუთითებს, რომ პროცესი არის გლობალური ხასიათის და დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ცივილიზაციათა დაპირისპირებასთან. მეორე მხრივ, მთავარი მომენტია რეალური დაპირისპირება, რომელიც მიდის ჩამორჩენილ რუსეთს და განვითარებულ სახელმწიფოებს შორის.

***— რუსეთი ჩამორჩენილად ითვლება? ამბობენ, რუსეთმა მოახერხა თავისი სამხედრო მანქანის მოდერნიზაცია და ამ მხრივ დასავლეთსაც გაასწრო.***

— რუსეთი სოციალურად ძალიან ჩამორჩენილია. დასავლეთის სანქციებმა რუსეთს მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. სამწუხაროდ, ამის შესახებ ქართული მედია არ ლაპარაკობს. რუსოფილების მთელი არმია კი რატომღაც რუსეთისკენ მიათრევს საქართველოს.






***— რას გულისხმობთ?***

— რუსეთის ორბიტაზე მოტრიალე პოლიტიკოსები ცდილობენ, საქართველო ჩაითრიონ ჭაობში. ქართულ მედიას რეალური სურათი რომ ეჩვენებინა, რა ხდება რუსეთში, საზოგადოება კარგად დაინახავდა, რა ვითარებაა ეკონომიკური, სოციალური თვალსაზრისით.

ევროკავშირის ემბარგოს შემდეგ, რუსეთს განვითარების პერსპექტივაც კი არ აქვს. რუსული ვალუტის კურსი ვარდება და ვარდება.

***— მას შემდეგ, რაც დასავლეთმა ემბარგო გამოუცხადა, რუსეთი სირიაში აწარმოებს ფართომასშტაბიან ოპერაციებს. თუკი რუსეთი ჭაობშია და მისი ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია, როგორ ახერხებს ამას?***

— სირიაში სამხედრო მოქმედებების წარმოება მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თუკი რუსეთმა სირიაში წარმატებას ვერ მიაღწია და ვერ შეძლო დასავლეთის წამოყვანა მოლაპარაკებებზე, მაშინ მას ეკონომიკური კატასტროფა ელოდება.

***— რატომ გგონიათ ასე?***

— რუსეთს სირიაში ერთადერთი სამხედრო ბაზა დარჩა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების გარეთ. საზღვაო ბაზაა. რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება. თუ იქ ასადი ჩამოაგდეს, რომელიც მისი სტრატეგიული პარტნიორია, მაშინ ახალი ხელისუფლება რუსულ სამხედრო ბაზას გააქრობს და რუსეთი დაკარგავს გავლენას. არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერთი სქემა — პროექტი, რომელზეც არავინ საუბრობს.

***— რა პროექტია?***

— კატარი, საუდის არაბეთთან ერთად, ფლობს ძალიან დიდი ოდენობით გაზის მარაგებს. მათი მარაგები მსოფლიო მარაგების დაახლოებით 30-35%. არსებობს პროექტი, რომლის თანახმად, კატარისა და საუდის არაბეთის გაზი, სირიის გავლით, ხმელთაშუა ზღვით საბერძნეთიდან უნდა შევიდეს ევროპაში. უზარმაზარი რაოდენობის მარაგია. დაახლოებით 150-200 მილიარდი კუბომეტრი მოცულობის გაზის გატარებაზეა საუბარი. ეს, ფაქტობრივად, ევროკავშირიდან რუსეთის მთლიანად ამოვარდნას ნიშნავს.

***— ამ ოდენობის გაზი შეიძლება შევიდეს რუსეთის გვერდის ავლით ევროპაში?***

— დიახ, თანაც ეს ის ოდენობაა, რამდენსაც რუსეთი ევროკავშირს აწვდის. ამას დაამატეთ ირანის გაზის რესურსები, რომელიც შეიძლება ასევე ევროკავშირის ტერიტორიაზე გავიდეს, თუ ირანსაც ემბარგო მოეხსნა.

***— ამერიკა-ირანს შორის ბოლოდროინდელი მოლაპარაკებები ამის შანსს ხომ აჩენს?***

— დიახ. ნაბუქოს ფარგლებში არსებობს პროექტი, რომ შეიძლება ირანული გაზი თურქეთის გავლით გავიდეს ევროპაში. ამას ემატება ჩვენი, ამიერკავკასიის დერეფანი, რომლითაც შუა აზიისა და აზერბაიჯანული გაზის რესურსები ევროპაში გადის. სამივე სქემის ერთდროულად ამოქმედება, ფაქტობრივად, ნიშნავს რუსეთის ეკონომიკურ განადგურებას.

***— ე.ი. ნაბუქოს პროექტი შეიძლება ამოქმედდეს?***

— დიახ. ეს ირანს ეხება. კატარისა და საუდის არაბეთის სქემა კი სხვაა. ამიტომ რუსეთის ერთადერთი პოლიტიკაა სირიის ხელისუფლებაში ასადის შენარჩუნება. სირიაში სიტუაცია უფრო გამწვავდება.

***— დასავლეთი?***

— დასავლეთიც არ აპირებს პოზიციების დათმობას. ურთიერთობის დათბობის რაღაც ნიშნები გამოჩნდა, ობამა შეხვდა პუტინს, დაელაპარაკა, საფრანგეთის პრეზიდენტმა უთხრა, მოდით, ერთად ვიმოქმედოთ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი დღის წინ შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთმა გამოაცხადეს, რომ რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს უგრძელებენ.

ბოლო დროს დიდი ბრიტანეთიც ჩაერთო პროცესში. ის სამხედრო თვალსაზრისით მიიღებს მონაწილეობას. შეერთებული შტატებიც ნელ-ნელა აქტიურდება. საფრანგეთი აქტიურადაა ჩართული. ვფიქრობ, რუსეთს სერიოზული პრობლემები ელოდება.

***— თუმცა, არა მგონია, რუსეთმა ასე ადვილად დათმოს პოზიციები. როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რუსეთმა მოახერხა სამხედრო გადაიარაღება და, ალბათ, გააგრძელებს სამხედრო ოპერაციებს თუ სირიაში არა, სხვაგან მაინც.***

— რუსეთს სერიოზული სამხედრო პოტენციალი აქვს. მთელი მისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი სწორედ სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე მიდის. მეტი რუსეთს არაფერი გააჩნია. მისი პოლიტიკური ბერკეტი სამხედრო შეიარაღებაა.

რუსეთმა წითელი ხაზებიც კი გადალახა — ყირიმთან დაკავშირებით პრობლემა რომ შეექმნა, პუტინმა განაცხადა, ატომურ იარაღს გამოვიყენებო, ანუ ყველაზე რადიკალური განცხადება გააკეთა, რაც ხრუშჩოვის პერიოდიდან არავის ახსოვს.

***— რა გარანტიაა, რომ რუსეთი მართლა არ გამოიყენებს ატომურ იარაღს?***

— ამის გამო დასავლეთი მაინც ფრთხილობს. ხომ იცით, დაჭრილი დათვი როგორი საშიშია. დასავლეთი ცდილობს, საქმე რადიკალურ დაპირისპირებამდე არ მივიდეს. ამიტომაც სახმელეთო ოპერაციების ჩატარებაზე სირიაში ყველა უარს ამბობს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ სახმელეთო ოპერაციებში მონაწილეობისას შეიძლება შეტაკებები მოხდეს, ანუ გადაიზარდოს რეალურ მსოფლიო ომში. შეთანხმდნენ, თვითმფრინავებმა, რომლებიც დაფრინავენ, ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, კონტაქტები არსებობს, რომ შემთხვევით თვითმფრინავები ერთმანეთს არ დაეჯახონ, რადგან ეს უკვე უშუალოდ დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების წინაპირობას შექმნის.

# ირაკლი სესიაშვილი: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება სწორი არ იქნება“



ნათია ხურცილავა

## „ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივა პოპულიზმს ემსახურება“



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება, რომლის ინიციატივითაც ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი გამოდის, პოპულიზმს ემსახურება და სხვას არაფერს.

მმართველი ძალის წარმომადგენელი დეპუტატი აცხადებს, რომ ის მუშაობს ახალ კანონპროექტზე და მომავალი წლისთვის სადისკუსიოდ წარუდგენს საზოგადოებას.

**ირაკლი სესიაშვილი:**

— პროფესიული საკონტრაქტო სამხედრო სამსახური გაცილებით ეფექტურია, ვიდრე გაწვევით სავალდებულო სამხედრო სამსახური, მაგრამ პოზიტიურ და ნეგატიურ შედეგებზეც უნდა ვიფიქროთ.

ყოველ წელიწადს სულ უფრო ნაკლებ წვევამდელს ვიწვევთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რადგან მეტი წილი საკონტრაქტო სამსახურზე გადადის როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე სხვა უწყებებში, სადაც წვევამდელები მსახურობენ. ამდენად, ტენდენცია გაუქმებისკენ არის.

***— თქვენი პოზიცია როგორია?***

— მე მიმაჩნია, რომ კი არ უნდა გავაუქმოთ სავალდებულო სამხედრო სამსახური, არამედ, ერთი მხრივ, ეს ტენდენცია უნდა შევინარჩუნოთ, მეორე მხრივ, ის გარდავქმნათ.

***— როგორ გარდავქმნათ?***

— წვევამდელებმა გაიარონ ისეთი ტიპის მომზადება, რომელიც თავსებადი იქნება შეიარაღებული ძალების სპეციფიკასთან.

***— რას გულისხმობთ?***

— ჩვენ უნდა მოვახდინოთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის და სარეზერვო სამსახურის სინთეზი. საუბარია ერთგვარ შერეულ მოდელზე. ამაზე მე უკვე 7-8 თვეა, რაც ვმუშაობ. ვმუშაობ უკვე გარკვეულ ციფრებსა და კონკრეტიკაზე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად. სხვადასხვა სამსახურებთან ერთად.

***— ე.ი. თქვენთვის მიუღებელია ოპოზიციური დეპუტატების ინიციატივა?***

— ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივა უფრო პოპულიზმზე იყო აგებული, რადგან მას საერთოდ არ უკითხავს არც ერთი სახელმწიფო უწყებისთვის, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება ამ იდეამ მოიტანოს. მათ იციან, რომ ახალგაზრდებში არ არის სავალდებულო სამხედრო სამსახური პოპულარული.

მათ რომ შემოეთავაზებინათ გარკვეული იდეა რეფორმასთან დაკავშირებით იმ ცვლილებებზე, რომლებზეც მე ვმუშაობ, დიდი სიამოვნებით მოვუსმენდი, მაგრამ 3-4 თვეა, რაც ეს კანონპროექტი წარმოდგენილი აქვთ და კომიტეტების მოსმენებზეც კი არ დადის ეს ადამიანი.

***— რატომ არ დადიან?***

— მათ უნდათ, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ეს პროცესი, როგორმე გაწელონ, რომ რაღაც სალაპარაკო თემა ჰქონდეთ. ეტყობა, სხვა იდეები არ გააჩნია ამ პოლიტიკურ ჯგუფს.

***— ისინი ამბობენ, რომ ეს ახალგაზრდები ერთ წელს კარგავენ. ამ დროში ისინი წავლენ საზღვარგარეთ, იქ მიიღებენ განათლებას და უფრო გამოადგებიან ჩვენს ქვეყანასო. ეს არ არის სერიოზული არგუმენტი?***

— ეს ყველაფერი პოპულიზმია და სხვა არაფერი. სწორედ ამიტომ ვუწოდე მათ ამ იდეას პოპულისტური. ერთი შეხედვით შეიძლება ეს ასე ჩანდეს, მაგრამ რეალობა სხვაგვარია. სამწუხაროდ, ამ კანონპროექტის ავტორს საერთოდ არ ესმის სამხედრო სამსახურის მნიშვნელობა.

***— ექსპერტების ნაწილი მთლიანად გაუქმებას არ ეთანხმება, მაგრამ არსებული სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობს.***

— სწორედაც რომ ვთანხმდებით რეფორმირების საჭიროებაზე, ამიტომაც დავიწყე მუშაობა კანონპროექტზე რამდენიმე თვის წინ, მაგრამ მე მისი აჟიტირება არ მომიხდენია. რეფორმირება საჭიროა, მაგრამ არა ის, რომ ერთი ხელის მოსმით გავაუქმოთ ეს ყველაფერი.

***— თქვენი კანონპროექტი რა ცვლილებებს ითვალისწინებს?***

— ჩემი ამოცანაა, ის დისკომფორტი, რაც ექმნებათ ჩვენს ახალგაზრდებს ჯარში გაწვევით, შევუმსუბუქოთ. მეორე ჩემი ამოცანაა, ის სამხედრო სამსახური, რასაც წვევამდელები გადიან, მაქსიმალურად თავსებადი გახდეს შეიარაღებული ძალების სერტიფიკატთან. მათი მომზადება იყოს იქითკენ მიმართული, რომ მათი უნარ-ჩვევები თავსებადი იყოს არმიასთან.

***— დღეს რა შეგიძლიათ გვითხრათ უფრო ხელშესახები, მართლაც შესაძლებელია 1 წლიდან 6 თვემდე შემცირდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, ამას ითვალისწინებს თქვენი რეფორმა?***

— ჩემი ინიციატივის დეტალებზე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებ. მიზანი არის, რომ გარკვეული ვადით იმსახურონ სხვადასხვა სამსახურებში, როგორც არის, მაგალითად, დაცვის სპეციალური სამსახური, შს სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ამ ეტაპის შემდეგ წვევამდელები უნდა განთავსდნენ თავდაცვის სამინისტროში და გაიარონ სამხედრო-სარეზერვო სამსახური, რათა თავსებადნი იყვნენ შეიარაღებული ძალების სპეციფიკასთან. ამ იდეის სისტემური და შინაარსობრივი ნაწილი დამუშავების პროცესშია.

***— ბატონო ირაკლი, დაახლოებით როდისთვის შეიძლება ეს ცვლილებები კანონში შევიდეს?***

— ვფიქრობ, მომავალი წლისთვის ეს პროექტი მზად იქნება.

***— დისკუსიის, ფართო მსჯელობის საგანი გახდება?***

— რასაკვირველია.

***— თქვენ ახსენეთ რეზერვი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩვენ ვნახეთ, რა ხარვეზებს შეიცავს სარეზერვო სამსახური. რეზერვის სამსახურის რეფორმა რა მიმართულებით მოხდება?***

— დღეს დეტალებზე არ მინდა ვისაუბრო, რადგან ეს ჩემი მხრიდან არასერიოზული იქნება.

***— რეზერვის სამსახური შესაძლებელია გაუქმდეს?***

— არა, რას ბრძანებთ. რეზერვი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ჩვენი სისტემის. არათუ უნდა გაუქმდეს, პირიქით, მაქსიმალურად ხელი უნდა შევუწყოთ მის რეფორმირებას.

***— ბატონო ირაკლი, თავდაცვის სამინისტროსთან თუ გაქვთ კონსულტაციები? მათი პოზიცია როგორია?***

— თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს, რომ მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადავიდეს. ეს მისი არჩევანია. ეს ხელს არ შეუშლის იმ სისტემას, რომელიც მინდა საზოგადოებას შევთავაზო და რომელზეც მე ვმუშაობ. პირიქით, ვფიქრობ, უფრო თავსებადი იქნება. ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად საერთო პოზიციებზე ვართ.

# რეფორმების წელი თბილისის ბაგა-ბაღებში

## რას გეგმავს მომავალში ბაღების მართვის სააგენტო







**ტენდერების სისტემის მოწესრიგება, ბაგა-ბაღების ახალი მენიუს შემუშავება და სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვა – ეს ის რეფორმებია, რომელიც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ უკვე განახორციელა. გასულ კვირას სააგენტომ ბაღების ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების გადამზადების პროექტიც დაიწყო.**

რა გაკეთდა და რას გეგმავს მომავალი წლიდან ბაღების მართვის სააგენტო, რათა დედაქალაქში სკოლამდელი აღზრდის სისტემის ხარისხი გაუმჯობესდეს?

სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა ამბობს, რომ ცვლილებები საბავშვო ბაგა-ბაღების სისტემაში წლების განმავლობაში არ განხორციელებულა – რეფორმები არ ჩატარებულა არც საალმზრდელო პროცესების გაუმჯობესების მიზნით და არც კვებისა თუ შესყიდვების მიმართულებით.

მისივე თქმით, ამ თემებზე მუშაობა სააგენტოს ახალმა ადმინისტრაციამ 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო და მიმდინარე წლის სექტემბრისთვის საბავშვო ბაგა-ბაღების სისტემაში სამი ძირეული რეფორმა განხორციელდა.

პირველი, რაც გაკეთდა, საკვები პროდუქტების მომარაგების კუთხით ერთობლივი ტენდერების ჩატარება იყო. გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში 210 ტენდერი ჩატარდა.

**თემურ თორდინავა:**

– ამან შესაძლებლობა მოგვცა, ერთი მხრივ, დაგვეზოგა სახელმწიფო ფინანსები, მეორე მხრივ კი, კონტროლის მექანიზმი ყოფილიყო ბევრად უფრო ადვილი იმ მიმართულებით, რომ თუ კომპანია არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მოხდება მისი დისკვალიფიკაცია და ახალი ტენდერი გამოცხადდება.

მეორე რეფორმა საბავშვო ბაგა-ბაღებში მენიუს გაუმჯობესებას უკავშირდება. ყველა ბაღისთვის შემუშავდა ერთნაირი მენიუ, რომელიც, გარდა იმისა, რომ მრავალფეროვანია, კალორაჟის მხრივ შესაბამისობაშია 78-ე დადგენილებასთან.

მესამე, რაც წელს დაინერგა და 5-6 წლიან ჯგუფებს მოიცავს, სასკოლო მზაობის პროგრამაა. აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის ჩვენს პატარებს საშუალებას აძლევს, სკოლაში ბევრად უფრო მომზადებულები მივიდნენ.

გარდა ამ რეფორმებისა, ბაღების სისტემაში ცალსახად წინგადადგმული ნაბიჯია ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების გადამზადების პროგრამა, რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს.

– ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია, რომ ბაგა-ბაღების 50%-ს არ ჰყავდა ფსიქოლოგი და ლოგოპედი.

ჩვენ, პირველ რიგში, კვლევა ჩავატარეთ ამ მიმართულებით, შემდგომ გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და დღეს მიმდინარეობს ფსიქოლოგების და ლოგოპედების გადამზადება. მათთვის შეიქმნება სახელმძღვანელოები და მომდევნო წლიდან უკვე თბილისის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღს შესაძლებლობა მიეცემა, ამ კუთხით მომსახურება მიიღონ.

ეს არის ძალიან დიდი პროექტი და ვფიქრობ, ეს რეფორმა დიდ პოზიტივს მოუტანს ჩვენს პატარებს, – ამბობს თემურ თორდინავა.

სააგენტოს ხელმძღვანელი რეფორმების გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს. ამბობს, რომ პრიორიტეტი ის პრობლემებია, რომელიც მოგვარებას სასწრაფოდ ითხოვს. 2016 წლის ბიუჯეტში სააგენტოს აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების გადამზადების საკითხიც აქვს გათვალისწინებული. თორდინავა თანმიმდევრული მიდგომის მომხრეა და იმედი აქვს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივლენ იმ ნიშნულამდე, რასაც დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებში მაღალი ხარისხის საალმზრდელო სისტემა ჰქვია.

## „ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორობა ძალიან ხანმოკლე იქნება“

თავისუფალი დემოკრატების ლიდერის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, ირაკლი შოთაძის მთავარი პროკურორობა ძალიან ხანმოკლე იქნება.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ აქვს ნათქვამი, რომ ეს თანამდებობა სწორედ შოთაძისთვის იყო შეპირებული. შესაბამისად, ის პროცესი, რომელიც წარიმართა მთავარი პროკურორის არჩევასთან დაკავშირებით, ფარსი იყო.

**ირაკლი ალასანია:**

– შოთაძის კანდიდატურის შერჩევამ ცხადყო, რომ მთელი ეს პროცესი, რომელიც შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, იუსტიციის სამინისტროსთვის წარმატება ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ ყოფილა ფარსი.

დაახლოებით ერთი წლის წინ მაქვს ნათქვამი, რომ ეს თანამდებობა შეპირებული იყო სწორედ შოთაძისთვის.

თავისი პოლიტიკური ერთგულების და იმის გამო, რომ მან ისევე, როგორც ადეიშვილის დროს იყო, პროკურატურა აქცია პოლიტიკურ იარაღად. ეს ძალიან სამწუხაროა.

კოლოსალური შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ეს ყოფილიყო წარმატებული რეფორმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელიდან გაუშვეს. მაგრამ, არა უშავს.

მე მინდა, დავპირდე ყველას, ვინც დღეს გადაწყვეტილებას იღებს, რომ ეს გადაწყვეტილებები უეჭველი შეიცვლება ერთი წლის თავზე.

**ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი ალასანია: „ვინც პარტნიორები გვეგონა, მტრობას გვიმზადებდნენ“



– „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვგრძნობდით რაღაც უცნაურ კონკურენციას და მტრობასაც კი. ჩვენ ვინც პარტნიორები გვეგონა, აღმოჩნდა, რომ შიგნით ძალიან დიდ მტრობას გვიმზადებდნენ, – ამის შესახებ თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ, დღეს პარტიის ვაკის რაიონული ორგანიზაციის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ალასანიას თქმით, წინა ხელისუფლება თუ ძალადობით გამოირჩეოდა, „ქართული ოცნების“ პრობლემა არაკომპეტენტურობა და უცოდინრობაა და ამ რეალობის შეცვლა, თავისუფალ დემოკრატებს შეუძლიათ.

**ირაკლი ალასანია:**

– ჩვენი პარტია შეიქმნა ერთი მარტივი პრინციპის გამო – ვერ ვიტანთ და არ გვიყვარს უსამართლობა.

ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის მიმართ განხორციელებული უსამართლობა, რომელიც ჩვენ დავინახეთ 2007-2008 წელს, გახდა მთავარი მიზეზი იმ ნაბიჯის, რომელიც ლევან მიქელაძემ გადადგა და შემდეგ უკვე პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების, რათა შეგვეცვალა ის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს ემტერებოდა.

კოალიციის სხვა წევრებთან ერთად ეს მოვახერხეთ კიდეც 2012 წელს. არავის არ უნდა დავუკარგოთ წვლილი, დაწყებული ივანიშვილით, დამთავრებული ყველა პარტიით, რომელიც კოალიციას წარმოადგენს, მაგრამ ყალბი თავმდაბლობის გარეშე მინდა ვთქვა, რომ თავისუფალმა დემოკრატებმა განსაკუთრებული წვლილი შევიტანეთ ამ ბრძოლაში და ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმა იმდროინდელი ძალადობრივი მანქანის მხრიდან ჩვენ მივიღეთ. მაგრამ არ დავმალავ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველა და მათ შორის მეც, ვგრძნობდით რაღაც უცნაურ კონკურენციას, მტრობასაც კი, ხშირ შემთხვევაში.

ჩვენ ვინც პარტნიორი გვეგონა, აღმოჩნდა, რომ ისინი შიგნით ძალიან დიდ მტრობას გვიმზადებდნენ.

ხელისუფლების მეორე დიდი პრობლემა, ალასანიას შეფასებით, აბსოლუტური არაკომპეტენტურობა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა.

– წინა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ძალადობით და სისასტიკით გამოირჩეოდა, მაგრამ ეს ხელისუფლება უფრო მეტად გამოირჩევა არაკომპეტენტურობით და უცოდინრობით.

ჩვენ ყოველდღე ვხედავთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი ქუჩები, რომელთა მოწესრიგება თავისუფლად შეიძლება; ვხედავთ იმას, თუ როგორ „უმკლავდებიან“ საგანგებო ვითარებებს;

რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობები პრაქტიკულად არ არსებობს, ვერავინ იღებს ადგილზე გადაწყვეტილებას, იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უსაფრთხოების ოფიცერმა, – განაცხადა თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა, თუმცა ოპოზიციაში წასვლის მთავარ მიზეზად ალასანიამ დაასახელა ის, რომ ქვეყანა ერთმა ადამიანმა არაფორმალურად არ უნდა მართოს.

ალასანიამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ კრიმინალმა მოიმატა და სამართალდამცავი სტრუქტურები საკადრის პასუხს ვერ სცემენ.

**ირაკლი ალასანია:**

– რამდენი ხანი დავიწყებული მქონდა ეს განცდა, მაგრამ ბოლო თვეებია, ისევ გამიჩნდა – ჩემი შვილები რომ გადიან ქუჩაში, ვნერვიულობ, იმიტომ, რომ უამრავი ადამიანი დარბის იარაღით, უამრავი კრიმინალი დაუსჯელია.

ირაკლი ალასანიას თქმით, სათანადო მონდომების შემთხვევაში თავისუფალ დემოკრატებს აქვთ უნარი, მოიმხრონ ის ამომრჩევლები, რომლებიც დღესდღეობით აცხადებენ, რომ არ იციან, რომელ პარტიას მისცენ ხმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა პარტიის წარმომადგენლები გაამხნევა, რომ საარჩევნო კამპანიისთვის საჭირო თანხებიც არსებობს.

– ჩვენს პარტიას აქვს შესაძლებლობა, ის აუცილებელი მინიმუმი, რაც გვჭირდება იმისთვის, რომ მივიდეთ ამომრჩევლამდე, ვიმუშაოთ ამომრჩეველთან, შემდეგ დავრაზმოთ და საარჩევნო დღეს მოვიყვანოთ ხმის მისაცემად – ამის საშუალებები გვაქვს და გვექნება, – დასძინა ირაკლი ალასანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## დეპუტატი თემურ ჭკუასელი ქალების შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს



**ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატი თემურ ჭკუასელი სექსიზმსა და ქალების შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს.**

კომიტეტში განიხილავენ „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტს, რომელიც პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით კვოტების შემოღებას ითვალისწინებს. პროექტის ერთ-ერთი ავტორი სწორედ თემურ ჭკუასელია.

კვოტირების მიზნებზე საუბრისას ჭკუასელმა განაცხადა, რომ „მამაკაცებს უფრო გლობალური აზროვნება აქვთ“.

დეპუტატის ამ ნათქვამს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის, ბაია პატარაიას პროტესტი მოჰყვა, რომლის შეფასებითაც, ქალების შეურაცხყოფა და სექსიზმია იმაზე საუბარი, რომ მამაკაცები უკეთესად ან სხვანაირად აზროვნებენ.

თავის მხრივ ჭკუასელმა განმარტა – მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ქალებს გლობალურ აზროვნებასთან ერთად, აქვთ თვისება, ყურადღება მიაქციონ დეტალებს, რომელსაც ხანდახან მამაკაცები ვერ ამჩნევენ.

რაც შეეხება პროექტს, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტის არჩევნებში წარსადგენ პროპორციულ საარჩევნო სიაში, სქესთა შორის ბალანსის დაცვის მიზნით, ყოველ მომდევნო სამ კანდიდატს შორის ერთი მაინც, განსხვავებული სქესის კანდიდატი უნდა იყოს. ეს კი, ინიციატორთა აზრით, საქართველოს პარლამენტში, სულ მცირე, 23 განსხვავებული სქესის პარლამენტარის ყოლას უზრუნველყოფს.

ამასთან, „საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით სქესის პრინციპის დაცვა გათვალისწინებულია პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლით შეცვლისას. კერძოდ, საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, თუ პარლამენტის გამოკლებული წევრი პარტიული სიით იყო არჩეული, მის ადგილს პარლამენტში იმავე სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი იკავებს.

პარლამენტში ინიცირებული პროექტით, თუკი რიგით მომდევნო კანდიდატი პარლამენტის წევრობაზე უარს ამბობს, ასეთ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს სიაში მომდევნო იმავე სქესის პარლამენტის წევრობის კანდიდატი იკავებს.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საკრებულოებში პროპორციული წესით ასარჩევ ქალთა რაოდენობის გაზრდას.

როგორც პროექტის განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, აღნიშნა, კვოტირების წესის შემოღებას ყველა დეპუტატი არ იზიარებს და პარლამენტში საჭირო იქნება კონსენსუსის მიღწევა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნიორმა ფასი დაიდო

ლალი დავითური

**საქართველოში ყველა სეზონზე ბაზარი სავსეა ხილითა და ბოსტნეულით. სეზონის მიხედვით განსხვავება მხოლოდ ფასებშია. ახლა გვიანი შემოდგომაა და ბაზრები სავსეა ხილ-ბოსტნეულით და ფასებიც ასე თუ ისე მისაღებია, მაგრამ შარშანდელ ფასებთან შედარებით, ზოგიერთ პროდუქტზე მაინც შეიმჩნევა ფასის მატება.**

შარშანდელთან შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც გაძვირებულია ხახვი, ლობიო, კარტოფილი, ვაშლი. გლეხები ამ სიძვირეს გვალვასა და მოუსავლიანობას აბრალებენ. განსაკუთრებით გაძვირებულია ნიორი. ერთი თვის წინ თუ 1 კგ ნივრის ფასი 5-6 ლარი იყო, ახლა ის 8 ლარი ღირს.



„ახალი თაობა“ რამდენიმე გლეხს გაესაუბრა.

***– რატომ ყიდით ნიორს ასე ძვირად, დოლარზე გაქვთ ნაყიდი?***

– დოლარზე ნაყიდი კი არა, ჩემს ბოსტანში მაქვს მოყვანილი. რა ვიცი, ერთი თვის წინ მქონდა ჩამოტანილი და 4 ლარად ძლივს გავყიდე.

ამ ქალაქელებს ხომ ვერაფერს გაუგებს კაცი. გუშინწინ ჩამოვიტანე ერთი პარკი და გადამყიდველებმა ძირს არ დამადგმევინეს, 6 ლარად ხელიდან გამტაცეს. მერე გავიგე, თავად 8 ლარად ყიდდნენ. ახლა მეც 7 ლარს ვაფასებ და იყიდება, ქართული ჯიშისაა და მოსწონთ.

თურქული ნიორი შესახედად უკეთესია, მაგრამ გემოთი ჩვენი სჯობია, თურქული უფრო მწარეა და საჭმელად ჩვენი სჯობს. ისეთი პირი უჩანს, ზამთარში კიდევ უფრო გაძვირდება, – გვითხრა თამაზ წითელაშვილმა.

***– რას იტყვით, რატომ გაძვირდა ასე ნიორი?***

– ეტყობა, წინა წლებით შეშინებულებმა, წელს ნიორი აღარავინ დათესა. ჩემმა მეზობელმა 2 წლის წინ დიდ ფართობზე დათესა ნიორი, იმედი ჰქონდა, თურქეთში გაიტანდა, მაგრამ ეტყობა, ყველამ ეგრე იფიქრა. იმდენი ნიორი გაჩნდა ბაზარზე, რომ ვეღარ გაყიდა და გაზაფხულზე 2 ტონა ნიორი გაიტანა და გადაყარა.

წელს გვალვამაც გაუფუჭა ბევრს მოსავალი და ცოტა მოვიდა, ამიტომ დაიდო ნიორმა ფასი.

* * *

გავესაუბრეთ ხილის გამყიდველებსაც:

***– რა ღირს ვაშლი და თუ არის ფასის მატება შარშანდელთან შედარებით?***

– მორიგება შეიძლება. შარშანდელთან შედარებით ცოტა კია მომატებული, მაგრამ ძვირი არ არის. ვაშლი გვაქვს სხვადასხვა ჯიშის და ხარისხის, აქედან გამომდინარე ფასიც სხვადასხვაა, დაწყებული 1 ლარიდან 3 ლარამდე.

***– რომელი ხილი იყიდება უფრო მეტად?***

– ახლა ციტრუსის სეზონია და უფრო მანდარინი, ფორთოხალი, კივი და ფეიხოა იყიდება. ამბობენ, ციტრუსის კარგი მოსავალიაო. ასე რომ, ქართველ მომხმარებელს ხილი არ მოაკლდება, – გვიპასუხა ინდირა გახარიამ.

* * *

საგრძნობლად არის მომატებული ფასი სოფლის რძესა და მაწონზე.

1 ლიტრი სოფლის რძე ერთი თვის წინ 2 ლარი ღირდა, ახლა კი 2,5-3 ლარი ღირს, 0,5 ლიტრი მაწონი 1,20 ლარია.

დავინტერესდით, მარკეტებში მოიმატა თუ არა რძესა და მაწონზე ფასმა. მარკეტის გამყიდველმა გვითხრა, რომ ზაფხულის მატების შემდეგ, აღარ მომატებულა ფასები. სხვადასხვა ფირმის პასტერიზებული რძე 1 ლიტრი ღირს 3,30-3,50 ლარი, მაწონი 400 გრ. 1,60-1,80 ლარი.

კითხვაზე, თუ რატომ გაძვირდა სოფლის რძე და მაწონი, მერძევე მარო ალავერდაშვილმა გვითხრა:

– ზამთარში საქონელი შრება, 10 ძროხიდან 2-3 თუღა იწველება, ზამთარში წველა ისედაც შემცირებულია. ზაფხულში თუ 7-8 ლიტრს იძლევა, ახლა 3-4 ლიტრზე ჩამოდის. ამიტომ, რძე ცოტაა და ფასსაც მოვუმატეთ.

***– ქარხნის რძეს რომ არ აქვს ფასი მომატებული, მათი ძროხები არ შრება?***

– ქარხნები ძირითადად რძის ფხვნილით აკეთებენ რძეს, იმათ „ძროხებზე“ სეზონი არ მოქმედებს, ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად იწველებიან, მაგრამ ფასს მაინც უწევენ ხოლმე.

იანვრის ბოლოს ძროხები ისევ დაიწყებენ წველას და სოფლის რძე და მაწონიც ისევ გაიაფდება.

# ძვირი ზამთრის მოლოდინში

გაუფასურებული ლარის შემდეგ მოსახლეობის მორიგი თავსატეხი, 3-4 თეთრით გაძვირებული დენის ტარიფია, რომელიც ზამთარში მძიმე ტვირთად დააწვება.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობას, შარშანდელთან შედარებით, კიდევ უფრო რთული ზამთარი ელის.

– არც შემოდგომაა სახარბიელო, ხომ ხედავთ, რაც ხდება, თუმცა მოსახლეობას კიდევ უფრო რთული ზამთარი ელის. გაძვირებული პროდუქტები, გაძვირებული დენის ტარიფი და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კი ყველას ჯიბეზე ძალიან მძიმედ აისახება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლარის შემდგომი გაუფასურებაც არ არის გამორიცხული. ეს კი ერთობლიობაში მოგვცემს სერიოზულ ასახვას მოსახლეობის შემოსავალზე, – ამბობს ეკონომიკის ექსპერტი გია ჯაფარიძე.

ის ხაზს უსვამს, რომ ელექტროენერგიის გაძვირების გამო, პროდუქტი კიდევ გაძვირდება. პურის მწარმოებელს მოუწევს ფასის გაზრდა, რადგან პურის ცხობისთვის ელექტროენერგიაა საჭირო.

– ფასი ჯერჯერობით არ გაძვირებულა იმის გამო, რომ სახელმწიფომ მოახდინა სუბსიდირება. ეს კი გადასახადების გადამხდელებზე აისახა, ისინი იხდიან იმ გადასახადებს, რომლებიც შემდეგ სუბსიდიის სახით უბრუნდება მათ ჯიბეს უარყოფით კონტექსტში, – აცხადებს გია ჯაფარიძე.



რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ რთული ზამთარი რამდენიმე ფაქტორით იქნება განპირობებული.

– ვერ გეტყვით, რამდენად ძვირი იქნება ეს ზამთარი, თუმცა ინფლაციის მაჩვენებელმა უკვე შეადგინა 5,8% და ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა კვლავ მოსალოდნელია. ინფლაციის მატება დამოკიდებულია ბიუჯეტსა და ეროვნულ ბანკზე, თუ როგორი მონეტარული პოლიტიკა იქნება გატარებული ეროვნული ბანკის მიერ.

მართალია, ელექტროენერგიის ფასმა მცირედით მოიმატა, თუმცა ელექტროენერგიის მატება უკვე აისახა ინფლაციის მაჩვენებელზე, რომელიც 5%-ის ფარგლებში იყო და ამ თვეში ინფლაციურმა მაჩვენებელმა 5%-ს გადააჭარბა, ანუ გადასცდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მიზნობრივ მაჩვენებელს, – აღნიშნავს რომან გოცირიძე.

მისი აზრით, ინფლაციური მაჩვენებლის ზრდა მხოლოდ ტარიფებს არ გამოუწვევია, ამას აქვს სხვადასხვა მიზეზები.

– რაც შეეხება ლარის კურსს, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ვალუტის შემოდინება და ბიუჯეტი. თუ ბიუჯეტის დეფიციტი იქნება მაღალი, ლარს საფრთხე შეექმნება, თუ ბიუჯეტი გაწონასწორდება, ლარის მნიშვნელოვანი რყევა არ იქნება მოსალოდნელი. ეს კი იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი სწორ მონეტარულ პოლიტიკას გაატარებს, – აცხადებს რომან გოცირიძე.

ექსპერტთა თქმით, ზამთარი განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის გართულდება, ვისაც საბანკო ვალდებულება დოლარში აქვთ აღებული, რადგან ეროვნული ვალუტა თითქმის 30%-ით გაუფასურდა.

ასეთი ადამიანების რაოდენობა კი დიდია.

**თიკო გურაშვილი, ბიპიენი**

# საქართველოში უძრავი ქონების ბაზარი არ არსებობს



ბროკერი ლევან ღვინიაშვილი: „ამით მოქალაქეები ზარალდებიან“

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში პრაქტიკულად ყველა სფეროს ჩამორჩება.

ამის შესახებ ბროკერი ლევან ღვინიაშვილი აცხადებს.

– ეს არაა გადაჭარბებული შეფასება, უფრო პირიქით, რადგან უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში უბრალოდ არ არსებობს. შესაბამისად, თვითდინებაზე მიშვებულ ბაზარზე არაერთი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი თუ რიგითი თაღლითი ჩნდება და დაზარალებულთა შორის უამრავი ჩვენი თანამოქალაქეა, – აღნიშნავს ბროკერი.

ის ამბობს, რომ არსებობს კონკრეტული ბაზარი და აწყობილი ქსელი, ინტერნეტ-გვერდები, საძიებო სისტემები, მიხვალ, გაერკვევი, დაეზღვევი.

– აქ კი ყველაფერი პირიქითაა, არაფერი არ არსებობს და დაზღვევაზე ფიქრიც კი სასაცილოა. პარალელურად, ამ სფეროში გამოუცდელობა თითქმის ყველასთვის თანმდევია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ბრმად ენდობიან ერთმანეთს და ძირითად შემთხვევებში, ქონების გარეშე რჩებიან. ამას საკუთარი სურვილით ისე აკეთებენ, რომ ვერც ხვდებიან, მახეში რომ გაებნენ, – აღნიშნავს ლევან ღვინიაშვილი.

ევროპასა და ამერიკაში უძრავი ქონების ბაზარი მილიარდებს ითვლის,

– სერთიფიცირებული მაკლერები თუ ბაზარზე მოთამაშე კონკრეტული ფირმები შესაძლებლობას არ უტოვებენ თაღლითებს იმისთვის, რომ ვინმე მოატყუონ. ანალოგიური რამ კი ჩვენთან უბრალოდ არ არის, – აცხადებს ბროკერი ღვინიაშვილი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ბროკერები საკუთარ უუფლებობასა და ამ სფეროში რეგულაციების აუცილებლობაზე საუბრობენ.

უძრავი ქონების სააგენტო „კიბეს“ ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე აცხადებს, რომ უძრავი ქონების ბაზარზე ქაოსია და ამ საკითხს დარეგულირება სჭირდება. გოგუაძე განმარტავს, რომ კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში საბროკერო ბაზარზე დასავლური სტილი დაინერგებოდა.

– ბროკერს უნდა მოეთხოვებოდეს ელემენტარული ცოდნა იურიდიულ საკითხებში და ესეც უნდა იყოს სავალდებულო. თუ სახელმწიფო ჩვენ დაგვიცავს, რალაცით ჩვენც გავხდებით ლეგალურები და სახელმწიფოს მიერ დაცულები, ძალიან კარგი იქნება, – აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

**კომერსანტ.გე**

# „ლიბერთი ბანკმა“ პედაგოგები დააჯილდოვა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით და „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია გაიმართა.

აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციის ფარგლებში „ლიბერთი ბანკის“ დირექტორმა არმენ მატევოსიანმა Gift card-ით დაასაჩუქრა კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები, რომლებმაც საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციების შესახებ საუკეთესო ნაშრომები წარმოადგინეს.

„ლიბერთი ბანკთან“ ერთად წლევანდელი კონფერენციის პარტნიორები „ინტელი“, „მაიკროსოფტი“, „ესაბი“ გახლდათ და 250 პედაგოგმა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტმა და ექსპერტმა მიიღო მონაწილეობა.




# ბიზნესმენი არჩილ ვეკუა ხელისუფლებისგან 2 მლნ დოლარს მოითხოვს?

ცნობილი ბიზნესმენის, არჩილ ვეკუას, ადვოკატების განცხადებით, უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი, მოითხოვს თუ არა დევნილობაში მყოფი ქართველი ბიზნესმენი ორი მილიონი დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებას საქართველოს ხელისუფლებისგან.

ბიზნესმენის ადვოკატების განცხადებით, ისინი ელოდებიან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას არჩილ ვეკუას საკასაციო საჩივართან დაკავშირებით და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, ისინი საჩივარს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანენ და ხელისუფლების მიერ ბიზნესმენის უკანონო ბრალდებისა და მატერიალური ზიანის მიყენებისათვის სოლიდურ კომპენსაციას მოითხოვენ.

**ამირან გიგუაშვილი, ადვოკატი:**

– ბიზნესმენ არჩილ ვეკუას მიმართ აშკარად განხორციელდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბრალდების სამივე ეპიზოდში უსწრაფესად შეცვალა გამამტყუნებელი განაჩენით, იყო შვეიცარიის იმჟამინდელი ელჩის, გიუნტერ ბეხლერის, პირდაპირი მოთხოვნა, რასაც თავისი საჯარო განცხადებებით ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა, მათ შორის ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებმა და, რაც მთავარია, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ, რომელმაც სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის ნაცვლად, შვეიცარიის ელჩს პირობა მისცა, რომ მის პრეტენზიებს შეისწავლიდა და შესაბამის ზომებს მიიღებდა.

შედეგიც სახეზეა, დღეს ბიზნესმენი არჩილ ვეკუა დევნილობაში იმყოფება და დაუსწრებლად შვიდი წლის პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ადვოკატების ინფორმაციით, ბიზნესმენ არჩილ ვეკუას უკანონო ბრალდების და დევნილობის გამო გამოუსწორებელი მატერიალური ზიანი მიადგა.

მისი ყველა ბიზნეს პროექტი ან შეჩერებულია, ან სახელმწიფოს მიერ მოხსნილია დაფინანსების პროგრამებიდან სრულიად გაურკვეველი მიზეზებით. მათ შორის თანადაფინანსება მოეხსნა ისეთ მნიშვნელოვან პროექტს, როგორიც არის იაფი კრედიტის ფარგლებში ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელი უახლოესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხნის მშენებლობა, სადაც ასზე მეტი ადგილობრივი უნდა დასაქმებულიყო.

– ჩვენ დიდი იმედი არ გვაქვს, რომ უზენაესი სასამართლო საერთოდ წარმოებაში მიიღებს არჩილ ვეკუას საკასაციო საჩივარს. ასეთი ეჭვისათვის ყველა საფუძველი გაგვაჩნია. ნებისმიერ შემთხვევაში, მოვახდენთ ზუსტი აუდიტორული შეფასების წარდგენას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, რათა დაცული იყოს არჩილ ვეკუას სამართლებრივი და ქონებრივი უფლებები სრული მოცულობით, – აცხადებს ერთ-ერთი ადვოკატი ამირან გიგუაშვილი.



ადვოკატების ცნობით, საქმე ეხება ბიზნესმენების ალი რიზა კიზილდაგსა და არჩილ ვეკუას შორის მიმდინარე გახმაურებულ სასამართლო დავას, სადაც ქართველი ბიზნესმენის მიმართ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი დადგა, ხოლო მას შემდეგ, რაც აღნიშნული საქმით შვეიცარიის ყოფილი ელჩი საქართველოში გიუნტერ ბეხლერი დაინტერესდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი სამივე ეპიზოდში გააუქმა და არჩილ ვეკუას დაუსწრებლად შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

– ბიზნესმენის ადვოკატების მტკიცებით, სასამართლოზე ზეგავლენა შვეიცარიის ყოფილი ელჩის და ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძის, განცხადებებმა მოახდინეს; ხოლო შვეიცარიის ელჩის დაინტერესება კი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ არჩილ ვეკუას ყოფილ ბიზნესპარტნიორს ალი რიზა კიზილდაგს ელჩთან პირადი მეგობრობა აკავშირებს.

თურქმა ბიზნესმენმა, რომელიც შვეიცარიის რეზიდენტია, სწორედ შვეიცარიის საელჩოს დახმარებით მოიპოვა ექვსასი ათასი აშშ დოლარის შეღავათიანი კრედიტი ზუგდიდში თხილის საწარმოს ასაშენებლად. ალი რიზა კიზილდაგის კუთვნილი საწარმო ანკა ფეა თრეიდი 2014 წლის ოქტომბერში შვეიცარიის მაშინდელმა ელჩმა საქართველოში გიუნტერ ბეხლერმა და პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ერთობლივად გახსნეს, – აცხადებენ ადვოკატები.

**ინტერპრესნიუსი**

# ნანა კაკაბაძე: „ბორჩაშვილი ამერიკის დაფინანსებულ თავისუფალ არმიაში იბრძოდა ასადის წინააღმდეგ“

ნონა ცაბაძე

**დავით ბორჩაშვილის დაკავების ფაქტს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძეც ეწინააღმდეგება. მისთვის სამართალდამცავების სიფრთხილე და პოზიციაც გასაგებია, როდესაც მთელ მსოფლიოში ასეთი დაძაბული და საგანგაშო სიტუაციაა. მეორე მხრივ, ამ პროცესს არ შეიძლება უდანაშაულო ადამიანები ემსხვერპლონ.**

– უფლებადამცველები ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა ეს სიტუაცია არ გახდეს უდანაშაულო ადამიანების დევნის საფუძველი. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა ვიმოქმედოთ, თუნდაც ეს იყოს ძალიან არაპოპულარული, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში უფლებადამცველი.

***– დღეს ეს არაპოპულარულია?***

– დღეს მთელი მსოფლიოს მოსახლეობა უკიდურესად შეშინებულია და მისთვის ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია ადამიანების უფლებები, როდესაც არის ტერორიზმის საფრთხე. თუმცა უფლებადამცველები ასეთ შემთხვევებშიც კი იმაზე უნდა ვფიქრობდეთ, რომ მთავარია, არ დაირღვეს არც ერთი ადამიანის უფლება და სახელმწიფო არ მიეჩვიოს უდანაშაულო ადამიანების დასჯას, იმის მიუხედავად, თუ რა ხდება ქვეყანაში.

***– სამართალდამცავები აცხადებენ, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომ დავით ბორჩაშვილი ნამდვილად იბრძოდა სირიაში, რომ არსებობს ფოტო და ვიდეო მასალა. ამის თაობაზე რას იტყვით?***

– ეს მტკიცებულებები სამი წლის წინ არის გადაღებული. როდესაც საერთოდ არ იყო სირია გამოცხადებული, როგორც ტერორისტული ქვეყანა. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერს სჭირდება შესწავლა. ეს ადამიანი არ უარყოფს იმას, რომ ის იყო თავისუფალ არმიაში, რომელსაც აფინანსებდა დასავლეთი, შეერთებული შტატები. მხარს უჭერდნენ მას და ეს ადამიანი იძახის, რომ დიახ, მე იქ ვიყავი, თურქეთიდან არაერთხელ გადავსულვარ, მერე უკან დავბრუნებულვარო და ასე შემდეგ.





***– თქვენ ამბობთ, რომ ბორ?აშვილი ამერიკის მიერ დაფინანსებულ არმიაში იბრძოდა?***

– დიახ, ამ ყველაფერს ჰქონდა დასავლეთის სერიოზული მხარდაჭერა, ბაშარ ასა?ის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ეს პროცესები ნამდვილად იყო, ბორჩაშვილი გადადიოდა, იბრძოდა, მერე უკან გადმოდიოდა. გარდა იმისა, რომ ადამიანი დააკავეს, კიდევ საინტერესო რამ მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***

– აქ შეიძლება ჩვენ ვივარაუდოთ ის პოლიტიკური პროცესები, რაც დღეს ხდება ამ მიმართულებით.

***– კონკრეტულად?***

– მიუხედავად იმისა, რომ ბორჩაშვილი იბრძოდა დასავლეთის მიერ დაფინანსებულ დაჯგუფებებთან ერთად, დღეს მისი პატიმრობა გახდა შესაძლებელი. ვნახოთ, როგორ წარიმართება პროცესები, ჩაერევა თუ არა დასავლეთი და დააყენებს საკითხს, რომ ეს ადამიანი ნამდვილად იბრძოდა ბაშარ ასადის წინააღმდეგ და მისი დაპატიმრებ? ?რ არის სწორი.

ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ სამართალდამცავებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ტერორიზმი თავიდან იქნას აცილებული.

– უნდა შევინარჩუნოთ ის დემოკრატიული ღირებულებები, რისთვისაც ამდენი ხანი იბრძოდა ქართველი ხალხი. ეს ღირებულებები არ უნდა ემსხვერპლოს არაფერს. კი ბატონო, ყველანაირი ფორმით ვებრძოლოთ ტერორიზმს, მაგრამ ამ ფონზე არ უნდა იყოს რეპრესიები.

***– რისკენ მოუწოდებთ სამართალდამცავებს?***

– უდანაშაულო ადამიანი არ უნდა ემსხვერპლოს დღეს არსებულ რეალობას, ეს მუსლიმანი იქნება, კათოლიკე თუ მართლმადიდებელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სამართალდამცავების ვალია, რომ ყველაფერი გააკეთონ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ასევე ჩვენი, უფლებადამცველების ვალია, რომ არ უნდა დაინგრეს დემოკრატიული ღირებულებები.

***– საქართველოს მიმართ მუქარის გზავნილზე რას იტყვით?***

– ვინაიდან ქართული ჯარი და ქართული სახელმწიფო ჩართული არის ამ ერთობლივ ოპერაციებში და ჩვენ ვართ მოკავშირე დასავლეთის ამ მიმართულებით, შესაძლებელია, საქართველოც გახდა ერთ-ერთი სამიზნე. თუმცა, მე არ მგონია, რომ ეს მუქარები იყოს რეალური, ან ვინმე გეგმავდეს მათ აღსრულებას. თუმცა, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა არის თანხვედრი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკისა, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ქვეყანაც გახდეს ამ აგრესიის მსხვერპლი.

***– გაჩნდა ვერსია, რომ სწორედ დავით ბორჩაშვილის დაკავების შემდეგ წამოვიდა ეს მუქარებიო. ასეა?***

– ეს მუქარები, როგორც ჩემთვის ცნობილია, მანამდეც იყო. არ ვიცი, ამ ფაქტებს ერთმანეთთან რა კავშირი აქვს. მით უმეტეს, რომ ეს ადამიანი ამტკიცებს და არც ჩვენ არ ვდაობთ, რომ ის თავისუფალ არმიასთან იყო კავშირში და მის დაკავებას ტერორისტები რატომ უნდა აპროტესტებდნენ?! მე ამ ვერსიას ვერ გავიზიარებ. ამას ერთმანეთთან კავშირი არ აქვს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ყაზახეთის პრეზიდენტი ნ. ნაზარბაევი სთავაზობს გაერთიანებას ტერორიზმის წინააღმდეგ

**ტერაქტები პარიზში. ტერორისტების სასტიკი და ცინიკური ანგარიშსწორება. კიდევ ერთი. ამჯერად თვით ევროპის შუაგულში. ისტორიის ათვლის ახალი წერტილი. წერტილი, რომლის შემდეგაც მსოფლიომ კარდინალურად უნდა შეცვალოს გლობალური ქცევის წესები. უნდა წაშალოს უთანხმოებისა და მოგიზგიზე კონფლიქტების ყველა საზღვარი და გაერთიანდეს ერთი, საერთო, უმთავრესი საფრთხის – ტერორიზმის წინააღმდეგ.**

ეს უნდა იყოს არა უბრალოდ სიტყვები, არამედ კონკრეტული ქმედებები. მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა, რომელმაც მსოფლიოსთვის უკვე გაიჟღერა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან გააჟღერა ინიციატივა, რომლის რეალიზაციას, რაგინდ

შეუძლებლად შეიძლება მოგვეჩვენოს ერთი შეხედვით, შეუძლია ბოლო მოუღოს ტერორიზმის თარეშს მსოფლიოში, ტერორიზმისა, რომელიც ჩვენ დროში ნამდვილად გლობალურ მასშტაბს იძენს.

უნდა შეიქმნას საერთაშორისო ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი მსოფლიო ქსელი. ამის დაწყებას ყაზახეთის ლიდერი სთავაზობს გაეროს კედლებში ყოვლისმომცველი დოკუმენტის დამტკიცებით, რომელიც დაადასტურებს უკლებლივ ყველა ქვეყნის მზადყოფნას იბრძოლოს უმთავრესი მტერის – ტერორიზმის წინააღმდეგ. მტრისა, რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული სახე და გამოსახულება. ბრძოლისა, რომელსაც არ გააჩნია მკაფიო ფრონტის ხაზი. და სწორედ ამიტომ არის ის განსაკუთრებით საშიში.

ამ გეგმის ცალკე პუნქტად, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ, უნდა იქცეს მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ყაზახეთის პრეზიდენტს სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ სწორედ ეკონომიკური პრობლემები უმეტესწილად ნეგატიური მოვლენების, მათ შორის ტერორიზმის, პროვოცირებას ახდენს მსოფლიოში. და ამ საკითხის მიმართ საჭიროა სისტემური ზოგადი მიდგომა. ყაზახეთის პრეზიდენტის საყოველთაო ანტიკრიზისული გეგმის იდეა მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად იქცა. წინა წლების კრიზისები ნათლად ცხადყოფენ იზოლაციონიზმის პოლიტიკის უპერსპექტივობას.

მსოფლიო საჭიროებს ცხოვრების ახალ წესებს, ახალ, უფრო ქმედით საშუალებებს მოქმედი კრიზისის სამკურნალოდ და შემდეგომი კრიზისების პროფილაქტიკისთვის. და ეს მკურნალობის სქემა ნურსულთან ნაზარბაევმა ზედმიწევნით გასაგებად ჩამოაყალიბა.

მსოფლიოს ესაჭიროება საერთო ზეეროვნული ვალუტა და გლობალური ფინანსური რეგულატორი, რადაც გაეროს მოქმედი ეკონომიკური და სოციალური საბჭო უნდა იქცეს, ოღონდ იგი უნდა იყოს ადრინდელზე მეტად წარმომადგენლობითი, რათა უფრო ეფექტიანი იყოს მისი საქმიანობა.

სავსებით შესაძლებელია, რომ თვით ყაზახეთი, მისი პრეზიდენტის ძალისხმევით ყველა იმ გარდაქმნის მოდელად იქცეს, რომელთა რეალიზებას ახლა უკვე მსოფლიო მასშტაბით სთავაზობს ნურსულთან ნაზარბაევი. რეგიონის ყველაზე სტაბილური სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური თვალსაზრისით, მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა ერთ-ერთ საკვანძო არასტაბილურობის წყაროსთან კონტინენტზე – ავღანეთთან, რომლის დესტრუქციული გავლენის ალაგმვას ყაზახეთის მეზობლები ყოველთვის ვერ ახერხებენ.

ყაზახეთი არის ჩვენი მსოფლიო მინიატურაში. ისეთი, როგორიც უნდა



იყოს მსოფლიო მომავალში. ჩვენს შორეულ და ასე ახლო მომავალში. როგორც მინიმუმ, ბირთვული იარაღის გარეშე.

ყაზახეთი არის ისტორიაში პირველი ქვეყანა, რომელმაც მისი ლიდერის გადაწყვეტილებით დახურა ბირთვული პოლიგონი და ნებაყოფლობით უარი განაცხადა სიდიდით მეოთხე ბირთვული იარაღის არსენალზე, და ასევე ქვეყანა, რომელმაც შექმნა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა ცენტრალურ აზიაში.

დღეს ყაზახეთის პრეზიდენტი სთავაზობს ამ გამოცდილების გამეორებას უკვე ახლო აღმოსავლეთში – იქ, საიდანაც დღეს მომდინარეობს მთავარი საფრთხე პლანეტის უსაფრთხოებისათვის, იქ, სადაც გაუთავებელი ომები წარმოშობს არაკონტროლირებად მიგრაციას, ტერორიზმსა და ქაოსს, იქ, სადაც ყველაზე საჭიროა ასეთი ზომების მიღება.

რაც შეეხება ეკონომიკას, ყაზახეთი უკვე ახლაა თვალსაჩინო სახელმძღვანელო მისი მრავალი თეორეტიკოსებისთვის. 2008-2009 წლების ურთულესი მსოფლიო კრიზისიდან ქვეყანა გამოვიდა მინიმალური დანაკარგებით. ამჟამინდელი უფრო მასშტაბური კრიზისის პირობებში ყაზახეთმა უკვე შეიმუშავა და შეუდგა რადიკალური ხასიათის ანტიკრიზისული გეგმის რეალიზაციას.

რესპუბლიკის ხელისუფლება არ აპირებს ეკონომიკურ სნეულებათა სიმპტომების კუპირებას. ასტანაში მიმდინარეობს სისტემის იმგვარი მთლიანი გარდაქმნა, რომ იგი აწი უკვე აღარასდროს შეფერხდეს.

ყაზახეთის პრეზიდენტის პროგრამამ „100 კონკრეტული ნაბიჯი“ რეზონანსი გამოიწვია არამარტო ცალკე აღებული ქვეყნებისა, არამედ მთლიანად მსოფლიოს ძირძველი პრობლემებისადმი რევოლუციური მიდგომის გამო. პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ექსპერტები ალაპარაკდნენ მისი შეიარაღებაზე მიღების აუცილებლობაზე. ასე, რუსეთის ყოფილმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, ამჟამად ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის ხელმძღვანელმა და საყოველთაოდ ცნობილმა ეკონომისტმა გერმან გრეფმა ამ გეგმას უწოდა „ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტი, რომელიც მე ოდესმე მინახავს“. მან აღნიშნა, რომ თუნდაც 50 ნაბიჯის რეალიზაციის შემდეგ ყაზახეთი პრინციპულად სხვა სახელმწიფოდ იქცევა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ყაზახეთი დღეს უკვე არის სრულებით სხვა სახელმწიფო, არა ისეთი, როგორიც იყო მეოთხედი საუკუნის წინ დამოუკიდებლობის გზის დასაწყისში. ყაზახეთი უკვე ცხოვრობს იმ ახალ მომავალში, რომელზეც საუბრობს მისი პრეზიდენტი, იმ ახალ მომავალში, რომელშიც მსოფლიოს ჯერ კიდევ მოუწევს ფეხის შედგმა. პროექტი „New Future“, რომელიც გულისხმობს ბირთვული, ენერგეტიკული, წყლისა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ნდობის, ურთიერთგაგების მიღწევასა და რეფორმების გატარებას, – იმას, რაც ნურსულთან ნაზარბაევმა უკვე განახორციელა ყაზახეთის სივრცეებზე, და რაც სხვა ქვეყნებიდან კოლეგების ერთიანი ძალისხმევით იგი იმედოვნებს, რომ მოიცავს მთელ პლანეტას, მოჰყავს რა ყაზახეთი ყველა ამ გარდაქმნის წარმატებული რეალიზების მაგალითად. ეს ქვეყანა ვითარდება რეკორდული ტემპებით, იმ პერიოდებშიც კი, როდესაც გარემო სულაც არ უწყობს ამას ხელს. დღეს რესპუბლიკა ერთ-ერთი ლიდერია დსთ-ს ქვეყნებს შორის აყვავების, კონკურენტუნარიანობის ხარისხისა და ბიზნესისთვის შექმნილი პირობების მხრივ. ამისი დასტურია ის, თუ წლიდან წლამდე როგორ იწევს ასტანა ზევით მსოფლიო რეიტინგებში.

ამ შედეგების მიღწევის შემდეგ ყაზახეთის ხელისუფლება სრულებითაც არ აპირებს მიღწეულით დაკმაყოფილებას. იგი მზად არის ახალი სიმაღლეების დასაპყრობად. წინ არის ამბიციური მიზანი – 2050 წლისთვის მსოფლიოს ოცდაათ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს შორის ყოფნა. და როდესაც ვხედავთ, როგორ ვითარდება დღეს ყაზახეთი მისი ლიდერის უნარიანი და შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელობით, უეჭველია, რომ ეს ქვეყანა აუცილებლად მიაღწევს დასახულ მიზანს.

**ზაზა მეზვრიშვილი**

# თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო

## პუტინი: „ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება“



### რუსულ ვერტმფრენს სირიაში ცეცხლი გაუხსნეს

### ნატომ საგანგებო სხდომა მოიწვია

გუშინ, 24 ნოემბერს, დილით თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი სუ-24 ჩამოაგდო.

ინციდენტი თურქეთ-სირიის საზღვართან მოხდა.

თურქეთის პრემიერ დავითოღლუს ცნობით, თურქულმა გამანადგურებლებმა რუსული თვითმფრინავი მას შემდეგ ჩამოაგდეს, რაც ის სირიის მხრიდან თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა და, გაფრთხილების მიუხედავად, ფრენა გააგრძელა.

– რუსული თვითმფრინავები ჩვენს საჰაერო სივრცეში პირველად არ შემოჭრილან, – თქვა დავითოღლუმ.

პრემიერმა განაცხადა, რომ უკვე დაწყებულია კონსულტაციები ნატოსა და გაეროსთან.

თეთრმა სახლმა მომხდარს დაუშვებელი უწოდა.

– ის, რასაც რუსეთი აკეთებს, ვერანაირ სამართლებლივ ჩარჩოში ვერ ჯდება, – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა რუსეთის ქმედებას პროვოკაციული უწოდა.

თავის მხრივ, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსული სამხედრო თვითმფრინავი თურქეთ-სირიის საზღვართან ჩამოაგდეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

– თვითმფრინავს რაკეტა ხმელეთიდან ესროლეს და ჩამოაგდეს, – აღნიშნულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

მოგვიანებით რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ კიდევ ერთხელ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სუ-24-მა თურქეთის საჰაერო სივრცე დაარღვია. უწყებაში განაცხადეს, რომ ამაზე „ობიექტური კონტროლის“ მონაცემთა ანალიზი მიუთითებს.

– სუ-24 სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თურქულმა გამანადგურებელმა ფ-16-მა მაშინ ჩამოაგდო, როცა ის „ჰმეიმიმ“-ის ბაზაზე ბრუნდებოდა, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

პენტაგონის ინფორმაციით, ინციდენტში 2 რუსული და 2 თურქული თვითმფრინავი მონაწილეობდა.

ინციდენტის შემდეგ გუშინ სირიაში მოქმედმა აჯანყებულებმა პროვინცია ლატაკიაში რუსულ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს.

აჯანყებულების ინფორმაციით, მათ ვერტმფრენი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის საშუალებით ჩამოაგდეს.

როიტერთან საუბარში ლიბანურმა ჰეზბოლამ აღნიშნული ინფორმაცია უარყო. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ვერტმფრენი ავარიულად დაეშვა, ბორტზე მყოფი ყველა მგზავრი უსაფრთხო ადგილასაა გადაყვანილი.

რუსული მედია წერს, რომ საუბარია ვერტმფრენზე, რომელიც სუ-24-ის ავიაკატასტროფის ადგილზე სამაშველო ოპერაციას ატარებდა.

❖ ❖ ❖

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით კრემლს ჯერჯერობით ამომწურავი ინფორმაცია არ გააჩნია.

გაცილებით კონკრეტული იყო რუსი სამხედრო ექსპერტი კოროტჩენკო.

– თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევას ადგილი არ ჰქონია! ჩვენი თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ხოლო თურქებმა ის ჩამოაგდეს! ამას მწვავე რეაქცია უნდა მოჰყვეს! საკადრისი პასუხი უნდა მიიღოს ყველამ, ვინც რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდო, – განაცხადა კოროტჩენკომ.

– ზურგში დანა ჩაგვარტყეს, – ასე გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას.

– ეს მოვლენა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებს ცდება. ტერორისტების თანამზრახველებმა ზურგში დანა ჩაგვარტყეს, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა იორდანიის მეფე აბდალა II-სთან შეხვედრაზე სოჭში.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, სუ-24 თურქულმა გამანადგურებელმა ფ-16-მა ჰაერი-ჰაერი კლასის რაკეტით, სირიის ტერიტორიაზე ჩამოაგდო.

– თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე, თურქეთის საზღვრიდან 4 კილომეტრში ჩამოვარდა. ჩვენი მფრინავები და თვითმფრინავი თურქეთის რესპუბლიკას არანაირად არ ემუქრებოდნენ, – განაცხადა პუტინმა.

მისი შეფასებით, სუ-24-ის ჩამოგდებას სერიოზული შედეგი მოჰყვება.

– ჩვენ თურქეთს ყოველთვის ვეპყრობოდით არა როგორც ახლო მეზობელს, არამედ როგორც მეგობრულ სახელმწიფოს. ჩვენთან კონტაქტის დამყარების ნაცვლად, თურქულმა მხარემ ამ საკითხის განსახილველად ნატოში პარტნიორებს მიმართა, თითქოს ჩვენ ჩამოგვეგდო მათი თვითმფრინავი, – აღნიშნა პუტინმა.

❖ ❖ ❖

სუ-24-ის ჩამოგდების საკითხზე გუშინ ნატოს უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგანგებო სხდომა დაიგეგმა.

ალიანსის სხდომის ჩატარება თურქეთმა ითხოვა.

ალიანსის სხდომამდე თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ქვეყნის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია.

სხდომას ესწრებოდნენ პრემიერი დავითოღლუ, გენშტაბის უფროსი და რამდენიმე მინისტრი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თურქეთში დაგეგმილი ვიზიტი გადადო.

ვიზიტი დღეს, 25 ნოემბერს უნდა გამართულიყო.

– მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გაუქმდეს ის შეხვედრა, რომელიც სტამბულში ხვალისთვის იყო დაგეგმილი ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, – განუცხადა ლავროვმა გუშინ ჟურნალისტებს.

მისი თქმით, ტერორისტული მუქარა თურქეთის ტერიტორიის მხრიდან იზრდება.

– თურქეთის ტერიტორიაზე ტერორისტული გამოვლინებების კრიტიკული მასა არანაკლებია, ვიდრე ეგვიპტეში. ამიტომ, ჩვენ არ ვურჩევთ ჩვენს მოქალაქეებს ტურისტული ან სხვა რაიმე მიზნებით თურქეთის მონახულებას, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

❖ ❖ ❖

ინტერნეტსივრცეში სუ-24-ის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპული მფრინავის ვიდეოკადრები გავრცელდა.

ბიბისი წერს, რომ რუსი მფრინავი კატაპულტირებისას დაიღუპა.

ვიდეოკადრებში სამხედრო ფორმაში ჩაცმული აჯანყებულებიც ჩანან.

რუსული სუ-24 სირიის პროვინცია ლატაკიაში, იმ ტერიტორიაზე ჩამოვარდა, რომელსაც აჯანყებულთა დაჯგუფებები აკონტროლებენ.

# ბრიუსელში ტერორისტული საფრთხის რეჟიმი გააგრძელეს




ბელგიის უშიშროების საბჭომ ტერორისტული საფრთხის რეჟიმი გააგრძელა. ამის თაობაზე მოსახლეობას პრემიერმა შარლ მიშელმა ამცნო.

მისი განცხადების თანახმად, სკოლები, მეტრო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები მუშაობას ოთხშაბათს გააგრძელებენ.

– არსებობს ინფორმაცია, რომ ტერორისტები აქციებს ხალხმრავალ ადგილებში გეგმავენ. ესენია რესტორნები, მეტრო, სკოლები, – ამბობს მიშელი.

პოლიცია ანტიტერორისტულ რეიდებს განაგრძობს. გასულ ღამეს ბრიუსელში დააკავეს პიროვნება, რომელზედაც ეჭვობენ, რომ პარიზის ტერაქტების მონაწილეა. ახლა ის საგამოძიებლო იზოლატორში იმყოფება. მისი ვინაობა არ ხმაურდება.

ჯერაც ვერ მოხერხდა პარიზის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორის, აბდუსალამ სალაჰის დაკავება. ბელგიისა და საფრანგეთის ძალოვნები ვარაუდობენ, რომ სალაჰმა გერმანიაში გადასვლა მოახერხა. საფრანგეთის პოლიციამ პარიზის გარეუბანში ერთ-ერთ ურნაში მიტოვებული მობილური ტელეფონი და შაჰიდის ქამარი იპოვა.

ვარაუდობენ, რომ ისინი აბდუსალამ სალაჰს ეკუთვნოდა.

# სეპარატისტებმა დონეცკის შახტარი კანონგარეშედ გამოაცხადეს

დონბასელმა სეპარატისტებმა დონეცკის ცნობილი საფეხბურთო კლუბი შახტარი კანონგარეშედ გამოაცხადეს.

მიზეზი შახტარის მიერ უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაა.

– შახტარის ფეხბურთელებმა და მწრთვნელებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ. ამას გარდა, კლუბი უკრაინის ჩემპიონატში გამოსვლას განაგრძობს, – იტყობინება სეპარატისტების საიტი „რუსსკაია ვესნა“.

# აფეთქება ათენის ცენტრში




საბერძნეთის დედაქალაქში, პარლამენტის შენობის მახლობლად, აფეთქება მოხდა.

საბედნიეროდ არავინ არ დაზიანებულა.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

## მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# 18 წლამდე ფრენბურთელ გოგონათა წარმატება

თბილისის ახალმა საფრენბურთო დარბაზმა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალურ ჩემპიონატს უმასპინძლა 18 წლამდე ასაკის გოგონებს შორის. საქართველოს დედაქალაქში ჩვენი ნაკრების გარდა თავი რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ესტონეთისა და ლატვიის ნაკრებებმა მოიყარეს.

ჩვენმა გოგონებმა შესანიშნავად ითამაშეს და საბოლოოდ მე-2 ადგილზე გავიდნენ. პაატა ულუმბელაშვილისა და გიორგი ქართველიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ერთნაირი ანგარიშით – 2:1 მოუგო ესტონელებს (25:20, 21:25; 15:10), ლატვიელებსა (25:14; 23:25; 15:11) და აზერბაიჯანელებს (20:25; 25:17; 15:12), ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ უკრაინელებთან (20:25; 25:21; 14:16), ხოლო რუსებთან 0:2 (16:25; 21:25) წააგეს.

რუსებთან მარცხი გასაკვირიც არ ყოფილა, რადგან მათი ეს ნაკრები ამ ასაკში ევროპის ჩემპიონია. პირიქით, გოგონებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტიც, მეორე სეტში 16:12 იგებდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. უკრაინელებთანაც თანაბარ ბრძოლაში დამარცხდნენ და რომ არა ორი დასანანი შეცდომა მესამე სეტის ბოლოს, გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ.

მიუხედავად უკრაინელებთან მარცხისა, მეორე ადგილი ჩვენ დაგვრჩა, რადგან სხვა მატჩები მათზე უკეთ ჩავატარეთ და საბოლოოდ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო გავასწარით, რადგან თავად უკრაინელებმა ერთი მატჩი ბოლოადგილოსან ლატვიასთან დათმეს.

ამ დეტალებზე ყურადღება უფრო იმიტომ გავამახვილეთ, რომ რამდენიმე წლის წინ დიდი ანგარიშებით ვაგებდით ყველა ნაკრებთან, ახლა კი პროგრესი თვალსაჩინოა და მომავლის პერსპექტივაც ჩანს.

საქართველოს ნაკრებმა ამ ტურნირზე ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ანა კალანდაძე (დსი, თურქეთი), გურანდა კვერნაძე, მარიამ გაფრინდაშვილი, ელენე გაბროშვილი, გვანცა ულუმბელაშვილი, ქეთევან ბლუაშვილი, გვანცა მარქარაშვილი, მზია ვაშაკიძე. ანა ბაწაშვილი, გვანცა ენუქიძე (ყველა თბილისი), ნინო კორაევი (რუსთავი), სოფო ჩომახიძე (ჯიკო).



# ქალმა მოჭადრაკეებმა ევროპის პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავეს

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გამართულ მოჭადრაკეთა გუნდურ ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბოლო ტურში ქართველი მოჭადრაკეები ავსტრიის ნაკრებთან ყაიმს დასჯერდნენ, მაგრამ ამ შედეგს საბოლოო სატურნირო მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია, რადგან ჩვენი გუნდი გამარჯვების შემთხვევაშიც მესამე ადგილზე დარჩებოდა.

ევროპის ჩემპიონატი რუსეთმა მოიგო 17 ქულით, ვერცხლი უკრაინამ მოიპოვა 15 ქულით, საქართველომ კი 14 ქულა დააგროვა.

სხვა ნაკრებები საუკეთესო სამეულს საგრძნობლად ჩამორჩნენ.

ვაჟთა ნაკრებმა დასკვნით ტურში სომხეთთან 1:3 წააგო და მე-9 ადგილზე გავიდა. ჩემპიონი რუსეთი გახდა, მეორე სომხეთი იყო, მესამე უნგრეთი.

**საქართველო (ქალები):** ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე



ნანა ძაგნიძე,

**საქართველო (ვაჟები):** ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, ლუკა პაიჭაძე, მერაბ გაგუნაშვილი

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შსს-მ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 17 პირი დააკავა

შსს-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე 17 პირი დააკავა. ამის შესახებ შსს განცხადებას ავრცელებს.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე, სომალის რესპუბლიკის 15, საქართველოს 1 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, სატვირთო ავტომანქანაში არსებული სპეციალური სამალავის მეშვეობით, სომალის რესპუბლიკის მოქალაქეების თურქეთში უკანონოდ გადაყვანას ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 19-344 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# მთავარი მატჩები მანჩესტერსა და მოსკოვშია

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მე-5 ტურის მატჩები.

## ა ჯგუფი

### მალმიო-პსჟ

**12.0 5.5 1.25**

მინიმალური შანსი აქვს მალმიოს არა მარტო მოგების, არამედ თუნდაც ევროპალიგაზე გადანაცვლების. ფრანგული კლუბი უპირობო ფავორიტია. პირველი მატჩი პსჟ-მ 2:0 მოიგო. სხვა დროს ერთმანეთს არ შეხვედრიან.

პსჟ-ს დისკვალიფიცირებული დავიდ ლუისი დააკლდება, მალმიოს ამავე მიზეზით – კარი არნასონი. ტრავმები აწუხებთ: ზლატან აზიმოვიჩს (მალმიო), ხავიერ პასტორეს, ეზეკიელ ლავესისა და სერჟ აურიერს (პსჟ).

### შახტარი-რეალი

**4.0 3.4 1.91**

შახტარიც მალმიოს დღეშია. დონაბსური კლუბის მიზანი ევროპალიგაზე გადართვაა. რეალი უკვე პლეიოფშია და ეს მასპინძლებს დამშვიდების უფლებას აძლევს – იქნებ მადრიდელებმა თავი არ მოიკლან. თუმცა, რეალმა ბოლო ტურში უძველეს მტერ ბარსელონასთან შინ 0:4 წააგო და მწვრთნელ-ფეხბურთელებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ, რის გამოც გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია სურთ. ეს შახტარისთვის ცუდია, რომელსაც პირველი მატჩი 0:4 აქვს წაგებული სამეფო კლუბთან და მისი ძალა იცის.

დონბასელთათვის ცუდია ისიც, რომ ოლექსანდრ კუჩერი და დარიო სრნა დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ მადრიდელები მარსელო და სერხიო რამოსი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| 2.პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| 3.შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| 4.მალმიო | 4 | 1 | 0 | 3 | 1:8 | 3 |

## ბ ჯგუფი

ცსკა-ვოლფსბურგი 2.3 3.2 3.2

რუსული კლუბი ბოლო ადგილზეა, მაგრამ ჯერ დაკარგული არაფერი აქვს. ოთხივე კლუბს აქვს პლეიოფში გასვლის შანსი და ყველა თავის ხავსს ებღაუჭება.

პირველი მატჩი ვოლფსბურგმა მოიგო (1:0), 2009 წელს კი გუნდებმა საშინაო მოგებები გაცვალეს.

რუსებს ტრავმირებული რომან ერიომენკო დააკლდებათ, საეჭვოა სეიდუ დუმბიას, გიორგი სენიკოვისა და ვასილი ბერეზუცკის თამაში.

გერმანელებს ლუის გუსტავოს თამაში ეეჭვებათ.

### მანჩესტერი-პსვ

**1.5 4.0 7.0**

პირველ წრეში პსვ-მ 2:1 მოიგო და ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში ყველაფერი გაათანაბრა – 2-2 მოგება, 1 ფრე, ბურთები – 6:6.

მანჩესტერელები სერიოზული დანაკლისით ხვდებიან მატჩს, თუმცა მათ სრულფასოვანი შემცვლელებიც მოეძებნებათ. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ანტონიო ვალენსია, ანდერ ერერა, მაიკლ კერიკი და ლუკ შოუ.

ჰოლანდიელები კი მანჩესტერს საბრძოლო შემადგენლობით ეწვივნენ.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 2.პსვ | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| 3.ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 4.ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |

## ც ჯგუფი

### ასტანა-ბენფიკა

**4.5 3.4 1.83**

50 წუთი გაუწია წინააღმდეგობა ლიგის დებიუტანტმა სტუმრად ბენფიკას, მაგრამ 0:2 მაინც დამარცხდა. ეს იყო ასტანელთა პირველი მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე და ცხადია, ამ გუნდს დიდი ისტორია არ აქვს. ის 2 ქულაც, რომელიც ყაზახურმა კლუბმა მოიპოვა, საშინაო მატჩების არის – ანუ ბენფიკას გარდა, ყველას აართვა ქულები. რა იქნება პორტუგალიურ კლუბთან, ეს დღეს გამოჩნდება.

ბენფიკას დასაკარგი ქულები არ აქვს. ჯგუფიდან პირველი ადგილით გასვლა უფრო გაუიოლებს გზას.

ასტანელებს დისკვალიფიცირებული ბაუზრან დოლჩიევი დააკლდებათ.

ბენფიკელთაგან ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლას გაიტანი. პორტუგალიელებს ტრავმირებული ლუიზაო და სემედოც დააკლდებათ.

### ატლეტიკო-გალათასარაი

**1.28 5.0 11.0**

პირველი მატჩი ატლეტიკომ სტუმრად 2:0 მოიგო. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ესპანელები სტუმრად იგებენ გალათასარაისთან – 1973 და 2010 წლებშიც მოუგიათ. უფრო საგულისხმო ის ფაქტია, რომ შინ ორივეჯერ ფრეს დასჯერდნენ.

გალათასარაი პრობლემებით ჩავიდა მადრიდში – ბურაკ ილმაზი და სელჩუკ ინანი დისკვალიფიცირებულები არიან, ხოლო კალორე და ჰამით ალტინტოპი – ტრავმირებულები.

მადრიდელები ჯეკსონ მარტინესს მოისაკლისებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| 2.ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| 3.გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| 4.ასტანა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

## დ ჯგუფი

### გლადბახი-სევილია

**2.45 3.25 2.9**

პირველ წრეში სევილიამ 3:0 მოიგო და ეს არ იყო ესპანელთა პირველი გამარჯვება ურთიერთშეხვედრებში. წელსვე, ევროპალიგის წინა გათამაშებისას, სევილიელებმა შინ და გარეთ მოუგეს მეტოქეს (1:0 და 3:2).

ახლაც „საჭიდაო“ აქვთ ერთმანეთში, რადგან მესამე ადგილისთვის მოუწევთ ბრძოლა.

მასპინძლებს ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, მარტინ შტრანცლი და პატრიკ ჰერმანი დააკლდებათ, ხოლო ესპანელები ანდრეოლის, დანიელ კარიკოსა და გაელ კაკუტას მოისაკლისებენ.

### იუვენტუსი-სიტი

**2.25 3.2 3.3**

პირველ წრეში იუვენტუსმა სტუმრად 2:1 მოიგო და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა მოიპოვა. მანამდე ჩატარებული 4 მატჩიდან გუნდებს თითო მოგება და 2 ფრე ჰქონდათ.

იუვენტუსი დისკვალიფიცირებული ერნანესისა და ტრავმირებული სამი ჰედირას გარეშე დაუხვდება მეტოქეს, ხოლო სიტი იტალიაში ტრავმების გამო ვილფრედ ბონი და სამირ ნასრი ვერ გაიყოლა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 2.იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| 3.სევილია | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| 4.გლადბახი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |

## ფეხბურთი
## 23 ნოემბერი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-სანდერლენდი .............. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-20 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 19-9 | 27 |
| 3.სიტი | 13 | 8 | 2 | 3 | 27-13 | 26 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 23-11 | 26 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-11 | 24 |
| 6.ვესტ ჰემი | 13 | 6 | 3 | 4 | 24-20 | 21 |
| 7.ევერტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 24-16 | 20 |
| 8.საუთჰემპტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| 9.ლივერპული | 13 | 5 | 5 | 3 | 17-15 | 20 |
| 10.კრ.პალასი | 13 | 6 | 1 | 6 | 14-13 | 19 |
| 11.სტოკი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-12 | 19 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 13.უოტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-14 | 16 |
| 14.სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 14-18 | 14 |
| 15.ჩელსი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-23 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 17.ნიუკასლი | 13 | 2 | 4 | 7 | 13-25 | 10 |
| 18.სანდერლენდი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-26 | 9 |
| 19.ბორნმუთი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-27 | 9 |
| 20.ასტონ ვილა | 13 | 1 | 2 | 10 | 10-24 | 5 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-რაიო .............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 10 | 0 | 2 | 29-12 | 30 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 8 | 2 | 2 | 17-6 | 26 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-11 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-12 | 21 |
| 5.სელტა | 12 | 6 | 3 | 3 | 22-20 | 21 |
| 6.ეიბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-12 | 20 |
| 7.ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 17-9 | 19 |
| 8.დეპორტივო | 12 | 4 | 6 | 2 | 18-13 | 18 |
| 9.ბილბაო | 12 | 5 | 2 | 5 | 18-16 | 17 |
| 10.ესპანიოლი | 12 | 5 | 1 | 6 | 14-23 | 16 |
| 11.სევილია | 12 | 4 | 3 | 5 | 17-18 | 15 |
| 12.ბეტისი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-17 | 15 |
| 13.რაიო | 12 | 4 | 2 | 6 | 14-20 | 14 |
| 14.სოსიედადი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-14 | 12 |
| 15.ხიხონი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-18 | 12 |
| 16.ხეტაფე | 12 | 3 | 2 | 7 | 12-19 | 11 |
| 17.გრანადა | 12 | 2 | 4 | 6 | 13-20 | 10 |
| 18.ლას პალმასი | 12 | 2 | 4 | 6 | 10-17 | 10 |
| 19.ლევანტე | 12 | 2 | 4 | 6 | 10-23 | 10 |
| 20.მალაგა | 12 | 2 | 3 | 7 | 5-11 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ბრაუნშვაიგი ............ 2:1

## შედეგები

**იტალია. სერია ბ**

კალიარი-ასკოლი ........................... 3:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ბრესტი ............................ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-უფა ................................ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-ბასაკშეჰირი ............. 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-გდანსკი ......................... 3:0

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-რანდერსი ..................... 3:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ამერიკელები სირიაში შეტევისთვის ემზადებიან







– მალე ისლამური სახელმწიფო აღარ იარსებებს! – განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ.

მან ხაზი გაუსვა იმ წარმატებებს, რასაც უკანასკნელ ხანს ამერიკელებმა ტერორიზმთან ბრძოლაში მიაღწიეს. სირიასა და ერაყში ტერორისტებისგან უზარმაზარი ტერიტორიაა გათავისუფლებული. მხოლოდ უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ფიზიკურად მოსპეს 300-მდე მებრძოლი. ტერიტორია, რომელსაც ისლამური სახელმწიფო აკონტროლებდა, მცირდება.

– მათი დედაქალაქი რაკა გარე სამყაროსაგან იზოლირებული ხდება. მალე ეს კრაზანების ბუდე საბოლოოდ დაეცემა, – თქვა ობამამ.

აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელმა გრეკ მაკგერტმა განაცხადა, რომ მალე სირიაში 50-მდე ამერიკელი სპეცრაზმელი გაემგზავრება.

– მზადდება გადამწყვეტი დარტყმა ტერორისტებზე. ბუნებრივია, არ შემიძლია დავასახელო დღე და საათი, როცა ეს იერიში დაიწყება, – თქვა მაკგერტმა.

მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში არაბული სახელმწიფოების როლი გაიზრდება.

– ჩვენს სპეცრაზმელებთან ერთად, ისინი ტერორიზმს უკანასკნელ გამანადგურებელ დარტყმებს მიაყენებენ, – თქვა მაკგერტმა.

ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯონ ქერის, ახლო აღმოსავლეთში დაწყებული ტურის მთავარი თემაა.

აბუ დაბიში ჩასული ქერი გაერთიანებული არაბული საემიროების კრონპრინცს, მუჰამედ ალ-ნაჰაიანს შეხვდა.

საემიროები ბევრს აკეთებს საიმისოდ, რომ შეწყდეს სირიაში სამოქალაქო ომი, რომელმაც უკვე 250.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამას გარდა, საემიროების ავიაცია ტერორისტების პოზიციებს ინტენსიურად ბომბავს.

აბუ დაბიდან ქერი ისრაელს ეწვევა. იერუსალიმში ის ისრაელის პრემიერ ნეტანიაჰუს, აგრეთვე პალესტინური ავტონომიის ხელმძღვანელ აბასს შეხვდება. საუბრის მთავარი თემა ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლაა.

სირიაში ამერიკელთა შესაძლო გააქტიურება აშშ-ს პოლიტიკურ ელიტაში დისკუსიებს იწვევს. ამერიკელთა ტაქტიკა მარტივია: სირიიდან თურქეთში დერეფნის გადაკეტვა, ისლამისტების რაკაში მომწყვდევა და განადგურება.

ზოგად სქემას ყველა ამერიკელი პოლიტიკოსი თუ სამხედრო იწონებს, მაგრამ საკმარისია კი გამარჯვებისთვის ის ძალები, რაც ობამამ სირიაში გადაისროლა?

– ჩვენი სპეცრაზმელების რაოდენობა უნდა გაიზარდოს, უფლებამოსილება კი გაფართოვდეს, – აცხადებს სენატორი დაიან ფაინსტაინი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ხალიფატმა დასავლეთ საქართველო და უკრაინა არ უნდა დაავიწყოს

*მარიამ მჭედლიშვილი*

ბოლო დროს დასავლეთი ძალიან ბევრ ყურადღებას უთმობს ტერორისტულ დაჯგუფება ისლამურ სახელმწიფოს, მასთან ერთობლივ ბრძოლას და ამის ფარგლებში რუსეთთანაც თანამშრომლობს. ზოგიერთს თითქოს დაავიწყდა, რომ რუსეთმა ჩაიდინა აგრესია უკრაინაში. ამას წინ უძღოდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ამის თაობაზე შეშფოთებას გამოთქვამენ უცხოელი ექსპერტები. ნიიგიტას უნივერსიტეტის პროფესორი სიგეხი ხაკამადა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს აკრიტიკებს იმის გამო, რომ იგი ცდილობს დასავლეთის სახელმწიფოების რუსეთთან შერიგებასა და გაერთიანებას. ეს ხდება პარიზის ტერაქტების, რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებული ეკონომიკური სანქციებისა და რუსეთის იზოლაციის ფონზე.

ექსპერტი მიუთითებს, რომ 2008 წლის საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა ფაქტობრივად მიიერთა აფხაზეთი და „სამხრეთი ოსეთი". დასავლეთმა ამის გამო რუსეთი გააკრიტიკა, მაგრამ კრემლმა თავი იმართლა იმით, რომ ეს ტერიტორიები მისი გავლენის სფეროა. მაშინ აშშ-სა და რუსეთს შორის შუამავლად გამოვიდა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. ახლა ამ როლში ფრანსუა ოლანდი გვევლინება. მას ახალი ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა სურს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო



სიგეხი ხაკამადა აღნიშნავს, რომ აშშ და რუსეთი ტერორიზმთან ბრძოლის ნიადაგზე 2001 წელსაც დაახლოვდნენ, თუმცა, რამდენიმე წელიწადში მათ შორის ისევ დაიძაბა ურთიერთობები. ბოლოს საქმე მივიდა ჯერ ომამდე საქართველოში, შემდეგ კი – უკრაინის მოვლენებამდე.

ამჟამად, ექსპერტის შეფასებით, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს კონფრონტაციის შეწყვეტას და მეორეხარისხოვან საკითხებზე უარის თქმას. რუსეთის აზრით, ასეთი მეორეხარისხოვანი პრობლემებია უკრაინის კრიზისი და ასადის ადმინისტრაცია.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ ისლამური სახელმწიფოს პრობლემის მოგვარების შემდეგ აუცილებლად დადგება გეოპოლიტიკური კონფრონტაციის პერიოდი. გავლენიანი სახელმწიფოები ახლა იკავებენ ისეთ პოზიციებს, რომ შემდგომში გაინაღდონ გავლენის სფეროები. რუსეთი ახალი გავლენის სფეროებისთვის იბრძვის.

ხაკამადას მიაჩნია, რომ დასავლეთმა რუსეთთან თანამშრომლობას უკრაინისა და სხვა პრობლემები არ უნდა გადააყოლოს და არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსეთს დარღვეული აქვს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი.

ამასობაში რუსეთი ტერორიზმს ებრძვის არა მარტო სირიაში, არამედ, ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ რესპუბლიკებში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციების შედეგად დაღუპულებიდან ყველა არ არის ხალიფატის წევრი.

ამჯერად, 24 ნოემბერს, კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი შემოღებულია დაღესტნის ორ რაიონში.

ცოტა ხნის წინ მახაჩყალაში სპეცოპერაციისას ადგილზე მოკლეს ტერორისტი, რომელმაც, ძალოვნების ვერსიით, დახოცა რკინიგზის ორი თანამშრომელი, რომლებიც შემოვლას ახორციელებდნენ. თავად ტერორისტი, მახაჩყალის დაჯგუფების ლიდერი აბდილხასალიკოვი, რკინიგზაზე ბომბს ამონტაჟებდა.

ამ დღეებში დაღესტნელმა სამართალდამცავებმა ავტომანქანაში ჩახოცეს იატაკქვეშა დაჯგუფების 4 წევრი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციამ მანქანა საბუთების შემოწმების მიზნით გააჩერა, მგზავრებმა კი ცეცხლი გახსნეს.

# ასტროპროგნოზი

## 25 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა კვლავ გიუმჯობესდებათ. ამის მიუხედავად, ნუ გარისკავთ. თუ თქვენი სამუშაო არ მოგწონთ, მის შეცვლას ნუ იჩქარებთ. **ტყუპები** – ახალი საქმეები შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ, მაგრამ რისკი გაუმართლებელია. თავქარიანობა არ გამოგადგებათ. **კირჩხიბი** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. იზრუნეთ სულიერებაზე. ამაო დაპირებები არ გასცეთ. შემოქმედებითი დღეა. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **სასწორი** – გეგმების რეალიზებას იოლად ახერხებთ. თუ დაგჭირდათ, მეგობრები დაიხმარეთ. ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **მშვილდოსანი** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **თხის რქა** – სამსახურში უფროსობა თქვენით კმაყოფილია. გელით კარიერული წინსვლა და სხვა სასიამოვნო სიახლეები. ეს განსაკუთრებით შემოქმედ ადამიანებს ეხება. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **თევზები** – იყავით ჰუმანური, დამთმობი, მიმტევებელი. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. გაიკეთეთ წყლის პროცედურები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 2. გემის ეკიპაჟის საცხოვრებელი სათავსო; 3. მუსლიმანთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 4. ყველის შესანახი ხის ჭურჭელი; 5. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მონასტერი ხულოს რაიონში; 12. სისხლის ნებაყოფლობით გამღები პირი; 14. აშშ-ს კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 19. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 22. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**; 6. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 9. საფრანგეთის პრეზიდენტი; 10. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. საკათედრო ტაძარი თბილისში; 15. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 18. რიგითი მეზღვაური; 20. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 21. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. კერძო დეტექტივების მეტსახელი აშშ-ში; 24. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მოწამეთა; 2. ნარმა; 3. მაიონეზი; 4. მილანი; 7. ჩხუტი; 9. ფრაჟე; 12. ონომასტიკა; 14. კაზუსი; 15. აგევზია; 17. პატრული; 20. ხომლი.

**თარაზულად:** 5. დოლომანი; 6. ჩხავერი; 8. ზამბახი; 10. ესტაფეტა; 11. მთვარე; 13. ტრიტონი; 16. სერენადა; 18. კაკაო; 19. ფეტვი; 21. ბონსაი; 22. დიასტოლა; 23. პოპლიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. ჩანახი; 4. ულუსი; 5. ატელიე; 11. დოკერი; 12. ტრაკაი; 14. მახა; 16. მენჩიკი; 17. ალაბამა; 19. ბულიმია; 21. ფლეში; 22. მაზდა.

**თარაზულად:** 6. გენეტიკა; 7. ფალცეტი; 8. სეული; 9. ანემია; 10. ხუნდი; 13. გიუმი; 15. იმპრესარიო; 18. მიტარბი; 20. ლუზა; 21. ფროიდი; 23. სიმპოზიუმი; 24. მახვში.

# გიორგი უშიკიშვილი ჯემალ ჭკუასელს უპირისპირდება



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის გიორგი უშიკიშვილისა და ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის დაპირისპირება არახალია. ისინი წლებია არ მალავენ საკუთარ მოსაზრებებს ერთმანეთთან დაკავშირებით. ორივე მხარის მტკიცებით, მათი ქართულ ფოლკლორში ყოფნა და საქმიანობა დანაშაულია.

ჯემალ ჭკუასელს მიაჩნია, რომ გიორგი უშიკიშვილი ქართული ფოლკლორის დამაქცეველია და ამიტომ, რაც შეიძლება შორს უნდა იყოს ამ საქმისგან. თავის მხრივ, გიორგი უშიკიშვილი აცხადებს, რომ ჯემალ ჭკუასელის „ერისიონის“ ხელმძღვანელობა ამდენი წლის განმავლობაში, ქართული ფოლკლორის უბედურებაა.

გიორგი უშიკიშვილმა საჯარო განცხადება ჯემალ ჭკუასელის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ მას შემდეგ გააკეთა, რაც „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს შემოევლოს ჩემი სიცოცხლე, წითელ ხალიჩაზე უნდა ვატაროთო.

**გიორგი უშიკიშვილი:**

– ბატონი ჯემალ ჭკუასელი წლების განმავლობაში რომ სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობს, ეს არის ერთი დიდი უბედურება ქართული ფოლკლორის! და დღეს, კიდევ რომ ფოლკლორის ცენტრის საბჭოს პირველი კაცია, ეს კი დიდი ტრაგედია! ყოველთვის, როდესაც რაიმე კრიტიკულს ვწერ, პასუხისმგებელი ვარ ყველა ჩემს სიტყვაზე.



# „ღამის სერენადები“ საუკეთესოდ დასახელდა

ლიანა ისაკაძის მიერ წლების წინ დაარსებული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ საუკეთესოდ დაასახელეს და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს.



დაჯილდოების ცერემონიალი თბილისში, რესტორან ფუნიკულიორში გაიმართა, სადაც სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოდ აღიარებული ღონისძიებები და პროექტები დასახელდა.

ნომინაციაში წლის საუკეთესო ფესტივალი გამარჯვებულად ლიანა ისაკაძის „ღამის სერენადები“ დასახელდა. ის საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივლად აღიარეს.



# ქართველი რეჟისორი ბროდვეიზე მიუზიკლს დგამს

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილი ბროდვეიზე მიუზიკლს დგამს, რომლის პრემიერაც დეკემბრის ბოლოს არის დაგეგმილი.

ნიკოლოზ საბაშვილი თეატრალური პრემია „დურუჯის“ გამარჯვებულია, ის საუკეთესო რეჟისორად არის აღიარებული და მოგებული აქვს კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული 10 ათას ლარიანი ჯილდო ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციაში.

ამჯერად რეჟისორი ამერიკაშია, სადაც ბროდვეიზე აქტიურ რეპეტიციებს ატარებს. „ლეგენდა საქართველოზე“ – ასეთია მიუზიკლის სახელწოდება.

– ხალხმრავალი მიუზიკლია, რომელშიც მონაწილეობს მთლიანად ანსამბლი „ფესვები“ და ასევე ქართველი, ამერიკელი, რუსი მოცეკვავეები და მსახიობები. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა ქართველ რეჟისორს არ დაუდგამს მიუზიკლი ბროდვეიზე, არც ის გამიგია, რომ პრემიერა ეთამაშოს, მაგრამ დაზუსტებით ამის თქმა არ შემიძლია, – ამბობს ნიკოლოზ საბაშვილი.

*საერთაშორისო*

# კიპროსის პრორუსული ძალები პუტინს ჯარის შეყვანას სთხოვენ

კიპროსის მართლმადიდებლური ცენტრის ხელმძღვანელმა ფოტიუმ პუტინს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა და რუსული არმიის შეყვანა სთხოვა.



– ჩვენ გვდევნიან, გვჩაგრავენ! თუკი მოძმე მართლმადიდებლური რუსეთი არ დაგვეხმარა, გავქრებით, – წერს ფოტიუ.

ფოტიუ აცხადებს, რომ სირიიდან კიპროსამდე არც ისე შორია და რაკი რუსეთმა სირიაში არმია შეიყვანა, კიპროსი გამონაკლისი არ უნდა იყოს.

– რუსულ არმიას გულისფანცქალით ველით, – აცხადებს მართლმადიდებლური ცენტრის ხელმძღვანელი.

# უკრაინაში რუსი ჯაშუშები დააკავეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა დააკავა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ინტერნეტის მეშვეობით სეპარატისტების ტელეარხ „ნოვოროსია ტვ-ს“ ტრანსლირებას უზრუნველყოფდნენ.




– ხსენებული არხი ჰებელსის საუკეთესო ტრადიციისამებრ ავრცელებდა სიცრუეს და უკრაინელ სამხედროებს ცილს სწამებდა, – ნათქვამია უშიშროების სამსახურის პრეს-ცენტრის განცხადებაში.

დაკავებული პირები ამჟამად უშიშროების იზოლატორში იმყოფებიან. მათ წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# რომის პაპის კოცნამ ბავშვი გამოჯანმრთელების გზაზე დააყენა

ფილადელფიელმა კრისტენ მასიანტონიომ განაცხადა, რომ მისი ერთი წლის გოგონას თავში არსებულმა სიმსივნემ მას შემდეგ დაიწყო შემცირება, როდესაც 2015 წლის სექტემბერში, რომის პაპმა ფრანცისკმა, მის გოგონას აკოცა აშშ-ში თავისი ვიზიტის დროს.



კრისტენის თქმით, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩვენებებმა, რომელიც ბავშვს მიმდინარე წლის აგვისტოსა და ნოემბერში გაუკეთდა, მნიშვნელოვანი განსხვავება აჩვენა. ექიმებმა სიმსივნის შემცირება დაადასტურეს. გოგონა კი თავს უკეთესად გრძნობს. ბავშვის მშობლების თქმით, რომის პაპის კოცნა „სასწაული იყო“.

ადგილობრივი პრესის ცნობით, ბევრმა ადამიანმა ავადმყოფი გოგონას განკურნება უფლის ჩარევას დაუკავშირა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში ვატიკანში უარყვეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რომის პაპ ფრანცისკს თავის ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა.

*კ. ხ.*

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობილება; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობაზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. დარჩეული კაკლის გული; 7. სრულმეტრაჟიანი, უოლტ დისნეის მულტფილმი; 9. ოპტიკური მინა; 12. ტომის, ხალხის, ერის წარმოშობა; 14. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 15. ფუტკრის მსგავსი, მოყვითალო ფერის მწერი; 17. მეფის მცველი რაზმი ძველად საქართველოში; 20. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი.

**თარაზულად**: 5. შაქრის სუროგატი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 13. სიბნელეში, ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; 16. მონასტერი რაჭაში; 18. ველორიქშა ინდოეთში; 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 23. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნიან

იაკობ გოგებაშვილის, ჭაბუა ამირეჯიბის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველი კლასიკოსი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას, კაბინეტი გაიხსნება.



ინფორმაცია ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, გიორგი კეკელიძემ, გაავრცელა:

– დეკემბრის ბოლომდე ეროვნული ბიბლიოთეკის ახალ საბიბლიოთეკო დარბაზებს კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის კაბინეტი შეემატება. მუშაობა უკვე დაწყებულია. ამ კარგ ამბავს გიტოვებთ და მივდივარ გურიაში. ფოთშიც შევივლი და პატარა ბიბლიოთეკას გავხსნი.

რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს, პირველ ეტაპზე იქ განთავსდება მისი წიგნები. ნივთებს რაც შეეხება, მისი პირადი, ლეგენდარული სკამის დროებით მფლობელობაში გადმოცემას დაგვპირდა ცოტნე გამსახურდია. ჯერ ამ მიმართულებით ვმუშაობთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
25 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.40 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 14.05 მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესელი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 "კომუნიკატორი" 23.00 სპორტული გადაცემა 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი. 01.50 მხ/ფ "**მშვენიერი არსებები**"

08.00, 10.10, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 23.00 "ნამდვილი დრო" 23.40 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" 07.00 სერ. "**კარმა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**უკანასკნელი ციხე-სიმაგრე**" (რ.რედფორდი) 02.55 ერთხელ საქართველოში 03.50 მხ/ფ "**უმშვენიერესი მარცვლები**" (რ.ვაიზი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**მოჯადოებულები**" 18.55 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.30 დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ისტორიის გაკვეთილი 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ზამიოკულკასი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.20 კონცერტი 17.00 დ/ფ "ალიასკელების მოგზაურობა საქართველოში" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 სიუჟეტები ათონის წმინდა მთაზე-3. ქართული დოკუმენტები 21.20 ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 00.30 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 **სერიალი "სხვისი სხეული"** 11.05 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 გადაცემა "მონიტორი" 16.05 **სერიალი "ტატიანა"** 17.05 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 **სერიალი "ნადირობა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 **სერიალი "ბანდიტების დედოფალი"** 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 **სერიალი "ფერფლი"** 1.30 **სერიალი "ტატიანა"** 2.15 **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ნოემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4078 | ევრო — 2.5759 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6842 | 100 რუსული რუბლი — 3.7128 |

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისთვის




### კალეიდოსკოპი



## ობამა იმ ლიდერებს არ ასახელებს, რომლებიც თმებს იღებავენ

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არ დაასახელა მსოფლიო დონის ის ლიდერები, რომლებიც თმებს იღებავენ. სტუდენტებთან კუალა-ლუმპურში შეხვედრის დროს, ობამას სთხოვეს „ბრძნული რჩევა“ მიეცა, ვინაიდან ის უკვე საპატიო ასაკში შედის.



— პირველი, რასაც ახალგაზრდებისგან მოვითხოვ, არის ის, რომ ბებერი არ დამიძახონ, ამით ჩემ გრძნობებს ეხებით, — იხუმრა თეთრი სახლის პატრონმა, კამბოჯელი სტუდენტებისთვის პასუხის გაცემისას. ობამას თქმით, როდესაც ის ხელისუფლებაში მოვიდა, მას თმაში ჭაღარა არ ჰქონია, ახლა კი ბევრი აქვს.

— მე თმებს არ ვიღებავ, მაშინ როდესაც, ბევრი ჩემი კოლეგა ამას აკეთებს. მე არ ვიტყვი, ვინ არიან, მაგრამ ეს მათმა გარემოცვამ იცის, — დაამატა ამერიკის პრეზიდენტმა.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ყოველთვის უარყოფდა გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, რომ ის თმებს იღებავდა. ამასვე ადასტურებდა მისი სტილისტი. გერმანიის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ერთხელ სასამართლოში უჩივლა გერმანულ ახალი ამბების სააგენტოს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ის თმებს იღებავდა. აღსანიშნავია, რომ ჩინელ ლიდერებს, მიუხედავად მათი ასაკისა, ყოველთვის საეჭვოდ შავი ფერის თმები აქვთ.

## მოდელმა სანდერსმა თაყვანისმცემლები შეაშინა

დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა მოდელმა სტინა სანდერსმა თავისი თაყვანისმცემლები ინსტაგრამში საკუთარი „რეალური“ ფოტოსურათების გამოქვეყნებით შეაშინა. მათი გამოქვეყნების შემდეგ ინტერნეტში მისი თაყვანისმცემლების რაოდენობა 13 ათასიდან 10 ათასამდე შემცირდა.



ერთი კვირის მანძილზე სანდერსი თაყვანისმცემლებს უზიარებდა საკუთარ დაუმუშავებელ ფოტოსურათებს.

— მინდოდა გამეგო, თუ რა მოხდებოდა, თუ მე ყოველგვარი შელამაზების გარეშე გადაღებულ სურათებს გამოვაქვეყნებდი, ისეთებს, როგორსაც თქვენ თქვენს მეგობრებსაც კი არ გაუზიარებთ, — განაცხადა 24 წლის მოდელმა.

სანდერსმა თავისი ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები გამოაქვეყნა, მათ შორის, „მახინჯი“ სელფები.

— ვფიქრობდი, რომ ჩემი თაყვანისმცემლების რაოდენობა იგივე დარჩებოდა და რომ მოწონებებს აღარ მივიღებდი, მაგრამ ყველაფერი პირიქით გამოვიდა, — განაცხადა მოდელმა, — მივიღე ბევრი მოწონება და ამავე დროს თაყვანისმცემლების რაოდენობის შემცირება.

## ავსტრალიელი საკუთარი სახელის გამო შეწუხებულია

ავსტრალიის მცხოვრებმა, რომელსაც ვიეტნამური ფესვები აქვს და ამის გამო მისი ვიეტნამური სახელი ფუკ დეტ ბიჩი, ინგლისურად უცენზურო გამოთქმად ჟღერს, ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა საკუთარი პასპორტის ფოტოსურათი. ეს იმიტომ გააკეთა, რომ სოციალურ ქსელში მის არც ერთ ნაცნობს არ სჯეროდა, რომ ეს მისი ნამდვილი სახელი იყო.




— საშინლად მაღიზიანებს ის, რომ, როდესაც ჩემ სახელს ვამბობ, როგორც ჩანს, არავის სჯერა, რომ ეს ჩემი სრული სახელია, რომელსაც ახლა ყველა ხედავთ, — მიაწერა თავისი პასპორტის ფოტოსურათს, რომელიც მან ფეისბუქში გამოაქვეყნა.

თავის გვერდზე ბიჩმა დაიჩივლა, რომ მას ყალბი სახელით სარგებლობაში ადანაშაულებენ, რასაც ადამიანები შეცდომაში შეჰყავდა. 23 წლის ავსტრალიელის აკაუნტი სამჯერ იქნა დაბლოკილი ფეისბუქის ადმინისტრაციის მიერ. მისი თქმით, ეს ძალით კეთდება და მისი აზრით, მის აზიურ წარმომავლობას უკავშირდება.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პასპორტის ფოტოსურათმა 124 ათასზე მეტი მოწონება და 67 ათასი გადაწერა მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფიფამ ბლატერსა და პლატინიზე საქმე აღძრა




ფიფას ეთიკის კომიტეტის საარბიტრაჟო პალატამ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერსა და უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინიზე საქმე აღძრა.

ფიფას მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში შავით თეთრზე წერია:

— საარბიტრაჟო პალატამ ფიფას ეთიკის კომიტეტის საგამოძიებო პალატის ანგარიში ყურადღებით შეისწავლა და თანამდებობის ორ პირზე საქმის აღძვრა გადაწყვიტა. სასამართლო გარჩევის დროს ორი მხარეს თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად და მათი უდანაშაულობის მტკიცებულებების წარსადგენად მიიწვევენ. საარბიტრაჟო პალატა იმედოვნებს, რომ ამ ორ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დეკემბერში მიიღებს.

შეგახსენებთ რომ, ბლატერი ეჭვმიტანილია 2011 წელს პლატინისთვის 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის უკანონოდ გადარიცხვაში. ფიფას პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ფრანგ ჩინოვნიკს ფული 1998-2002 წლებში გაწეული სამუშაოსთვის გადაუხადა.

თავად პლატინის განცხადებითაც, თანხა, კონტრაქტის თანახმად, კანონის სრული დაცვით მიიღო. მისი განმარტებით, ამ საკითხზე 1998 წელს ბლატერს სიტყვიერად შეუთანხმდა.

ეთიკის კომიტეტი ეჭვობს, რომ პლატინიმ ფული 2011 წელს ფიფას პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის სანაცვლოდ აიღო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში ფიფას ეთიკის კომიტეტმა ბლატერსა და პლატინის ფეხბურთში ნებისმიერი სახით 90 დღით მოღვაწეობა აუკრძალა.

## გიორგი ლორია: „არ მიყვარს, როცა უსაქმოდ ვდგავარ და ვიყინები“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი ლორია რუსეთის პრემიერლიგაში ჩატარებული თავისი მეორე მატჩის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. კრილია სოვეტოვის კიპერის გარჯა ცსკა-სთან მოსკოვში მოგებულ მატჩში (2:0) გამოცემა სპორტ ექსპრესმა 7,0 ქულით შეაფასა და ქართველი ფეხბურთელი მე-16 ტურის საუკეთესო თერთმეტეულში შეიყვანა, ხოლო გადაცემა 90 წუთი პლუსმა ტურის 5 საუკეთესო ფეხბურთელში დაასახელა.



ლორიასთან ინტერვიუ სამარული კლუბის ვებგვერდმა შემოგვთავაზა.

***— როდის გაიგეთ, რომ სასტარტო შემადგენლობაში იყავით?***

— როგორც ხდება ხოლმე, თამაშისწინა კრებაზე. ამ შეხვედრისთვის რომ ვემზადებოდით, ვგრძნობდი, რომ სასტარტოში მე ვითამაშებდი. დიდი სურვილი მაქვს, რომ ხშირად ვითამაშო.

***— თამაშის წინ ცსკა-ს რომელიმე ფეხბურთელს თუ უფრთხოდით?***

— ავტობუსში გამოვკითხე ბიჭებს, არმიელებში ვის შეუძლია არასტანდარტულად თამაში, ვინ ურტყამს საჯარიმოებს და პენალტებს. რაც შეეხება სრულ ანალიტიკას — ეს ჩემთვის ალან ჩოჩიევმა გააკეთა. ალანმა მირჩია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ზორან ტოშიჩისთვის მიმექცია.

***— გადაცემა 90 წუთი პლუსმა თქვენ ტურის 5 საუკეთესო ფეხბურთელში დაგასახელათ. რას იტყვით საკუთარ თამაშზე?***

— თავისთავად ეს ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ თავს გმირად არ მივიჩნევ. გმირი ადისია, მან ორი გოლი გაიტანა, გამარჯვება კი მთელი გუნდის დამსახურებაა. მოედანზე 11 კაცი გადის.

***— როდის დაიჯერეთ, რომ მოგებას შეძლებდით?***

— თამაშის წინ მეც და ბიჭებსაც გვქონდა შეგრძნება, რომ არ წავაგებდით. ეს იყო ინტუიცია.

***— საქართველოში თუ უყურეს ამ თამაშს?***

— რა თქმა უნდა, უყურეს და თამაშის მერე ბევრმა დამირეკა და მომილოცა. მატჩის შემდეგ ისრაელში მამას დავურეკე, რომელიც იქ მკურნალობს. მამა ძალიან ბედნიერი იყო, რომ მოვიგეთ და ნულზე ვითამაშე. მამა ჩემთვის ყველაფერია, ბედნიერი ვარ, რომ გავახარე.

***— კომენტატორი ამბობდა, რომ თქვენ ყველაფერს იგერიებდით, რაც კარში მიდიოდა.***

— გუნდისთვის უკეთესია, როცა თამაში მეტოქის ნახევარზე მიმდინარეობს, როცა გუნდი უფრო უტევს. მაგრამ ალალად ვიტყვი, მე უფრო მიყვარს, როცა მეტოქეც აქტიურია, როცა საქმე მაქვს. არ მიყვარს, როცა უსაქმოდ ვდგავარ და ვიყინები. მთავარია წარმატებული შედეგი.

***— აკინფეევს თუ გაესაუბრეთ თამაშის შემდეგ?***

— საფეხბურთო მოედანზე პირველად დავუპირისპირდი მას. უბრალოდ, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და წარმატება ვუსურვეთ. იგორი ძალიან მაღალი დონის მეკარეა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## იუმორი



ოსი წევს ტრავმატოლოგიურში. ბინტები მხოლოდ პირზე აქვს შემოხვეული. მეორე ავადმყოფი ეკითხება:

— რა მოგივიდა?

— ხეს დავეჯახე, სენი წილიმე.

— აუუ, წარმომიდგენია, მანქანა რა დღეში იქნება...

— ალა, ფეხით ვიყავი.

●●●

პოლიციელს ტყუპები შეეძინა. კოლეგები ეკითხებიან:

— როგორ უნდა განასხვავო ერთმანეთისგან?

— სულ უბრალოდ, თითების ანაბეჭდებით.

●●●

მთიელი მიცვალებულისთვის გვირგვინს უკვეთავს. შეკვეთის მიმღები ეკითხება:

— რამე წარწერის გაკეთება ხომ არ გინდათ?

— ჰო, მინდა.

— რა დავაწეროთ?

— ბოდიში, ძმაო, სხვა მეგონე.

●●●

კაცი აეროპორტის ცნობათა ბიუროში რეკავს და კითხულობს:

— უკაცრავად, თუ შეგიძლიათ მითხარით, რა დრო სჭირდება აქედან პარიზში ჩაფრენას?

— ერთი წუთით, ბატონო...

— გმადლობთ! — უპასუხა კაცმა და ყურმილი დაკიდა.

●●●

ოსს ეკითხებიან:

— რომელი ფრინველის ხორცი არ იჭმევა?

— თვითმფლინავის, სენი წილიმე.

●●●

ერთი მთიელი მეორესეუბნება:

— წამო, გოგოები შევაბათ.

— რაღაზე დავაბათ, აგერ ხევი და ბარემ აქედან გადავჩეხოთ.

●●●

ცოლი სამზარეულოში ტრიალებს, საჭმელებს ამზადებს, სტუმრებს ელიან. ქმარი კი ამ დროს ტრუსიკიანი დაბორიალობს. ცოლი ეუბნება:

— კაცო, ჩაიცვი, უცბად სტუმრები არ მოვიდნენ და მასე არ განახონ, სირცხვილია!

— არ ჩავიცვამ, დაე დამინახონ, როგორი გამხდარი ვარ, რომ ჩემზე საერთოდ არ ზრუნავ.

— მაშინ, ბარემ ტრუსიკიც გაიხადე.

— რატომ?

— დაგინახონ, თუ ხარ რამის ღირსი...

●●●

გზის პირას მჯდომ მოხუცს ტურისტები ეკითხებიან:

— უკაცრავად, ვერ გვეტყვით, რა დრო დაგვჭირდება უახლოეს რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად?

— გაიარეთ.

— გავივლით, მაგრამ გვინდოდა გაგვეგო...

— გაიარეთ.

ტურისტები გაბრაზდნენ, შეტრიალდნენ და წავიდნენ. ამ დროს მოხუცმა მიაძახათ:

— ერთ საათში.

გაკვირვებული ტურისტები მოტრიალდნენ და ერთ-ერთი ეუბნება:

— მადლობა, მაგრამ თავიდანვე რატომ არ გვითხარით?

— მინდოდა გამეგო, როგორი სიჩქარით დადიხართ!!!

●●●

მოსამართლე ბრალდებულს მიმართავს:

— თქვენ ბრალს გდებენ იმაში, რომ თქვენი მეზობელი მისსავე თხას შეადარეთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**